როზერტ ოვენი

(კაცის ხასიათის გადამკეთებელი.)

გამოცემული

ნიკო გიგაურისაგან

თფილისი
Типографія Е. Хеладзе {} სტამბა ე. ხელაძისა.
1889

როზერტ ოვენი

კაცის ხასიათის გადამგეთებელი.

13493

გამოცემული

ნიკო გიგაურისაგან

თფილისი
Типографія Е. Хеладзе {|} სტამბა ე. ხელაძისა.
1889

Дозволено Цензурою Тифлисъ 14 Марта 1889 года.

რობერტ ოვენი

ეს მეტად კეთილი და შესანიშნავი პირი, რობერტ ოვენი, არის ერთი თვრიად გამოჩენილი კაცთაგანი, რომელმაც თვალსაჩინოდ და ჩინებულად იშრომა და იღვაწა, რომ მას ამ ღვაწლით და დაუღალავის მეცადინეობით კაცობრიობის ცხოვრებაში შემოეტანა ბევრი ისეთი რამ ახალი წესები და ცხოვრების ცვლილებანი, რაც თანმედროვე ერის საზოგადო ცხოვრების წესებს რადიკალურად (ძირითადი) შესცვლიდა და სულ სხვა, სულ ახალს, მაგრამ ჩვეულებრივს და სასარგებლო რამეებს დაუფუძნებდა. ამ პირის შესახებ ევროპიელის ენებზე ერთობ ბევრი უწერიათ და ჯერეთ ბევრსაც დასწერენ კიდეც, ვიდრე კაცობრიობა არ მიაღწევს იმ ცხოვრების წერტილამდის, რომლის დასაწყისი უკვე ოვენისაგან დამკვიდრებული არის. ჩვენს ენაზე-კი ამის შესახებ არაფერი გვაქვს და ამიტომ ვსწერთ ამ წერილს, რომელიც უეჭველია, უმნიშვნელო არ იქნება, ამისთვის ჩვენ ვხმარობთ დობროლიუბოვის მეოთხე ტომს, საიდამაც ადგილ-ადგილიც შემოგვაქვს აქ, მისაილოვის ნაწერებიდამ, შელგუნოვის, ვებერის, შლოსერის და ზეეიფერისაგან.

რობერტ ოვენი დაიბადა **1778 წ.** ერთს საგრაფოში მდებარეს, პატარა ქალაქ ნიუტონში. მისი მშობლები იყვნენ საკმარისად ღარიბნი, ისე, რომ ამათ თავიანთ შეუძლებლობის გამო თავიანთ პატარა შვილის სასწავლებელში მიცემაც არ შეეძ-

ლოთ, რომ მიეცათ და ესწავლებინათ. ამ დროის სასწავლებლების კარების უმეტესი ნაწილი ღია იყო მხოლოდ შეძლებულ პირთ შვილებისათვის, სამღვდელო პირთ შვილებისათვის და თავად-აზნაურების, რომლებიც იმ დროს დიდის დიდების მქონე შთამომავლობათ ითვლებოდენ. ცხადი საქმეა, რომ სადაც მხოლოდ ასეთი წესები არსებობდა და მხოლოდ შეძლებულ მოქალაქეთ ჰქონდათ საშუალება სწავლის და შეძლებულ და შეუძლებელთ კეთილშობილთ, აქ, უეჭველია საწყალი სალსი ვერას გაწყობდა და ის უბრალო სამრევლო სკოლის იქით ვერსად წავიდოდა. ამიტომაც რობერტ ოვენის მშობლებს ოვენის სკოლაში მიცემის ჭაზრიც არ მოსვლიათ, ესენი მას შინ ასწავლიდნენ მხოლოდ წერა-კითხვას და მის შემდეგ მცირესნით ერთს სამრევლო სკოლაშიც დადიოდა, მაგრამ იქ ეს მისმა მშობლებმა მცირე სანს დასტოვეს და მერვე წლის იყო, რომ იგი მიაბარეს შეგირდათ ერთს ვაჭარს, დუქანში, სავაჭრო საქმეების შესახვევად. ამ დღიდგან რობერტი მოშორდა წიგნის ცოდნის საქმეს და იგი დაადგა ვაჭრულ შეგირდობის გზას და ვაჭრობის აღებ-მიცემობის შესწავლას. შენიშნულია, რომ იგი ამავე დროს წიგნებსაც კითხულობდა და მეცადინეობდა, რომ ის ამით შემდეგში უფრო წინ წასულიყო, ერთსა და იმავე დროს იგი მიდიოდა წინ, როგორც წიგნის ცოდნით და სწავლა განათლებით, ისევე ვაჭრობით. აქ ამ დროს წიგნის კითხვით ისე განვითარდა ოვენი, რომ ძნელად თუ მის დროს ისე მცოდნე და ხალისიანად გამოსულიყო ვინმე, ოვენი ერთის სიტყვით ჭყლაპავდა წიგნებს, ამან ზედ-მიწევნით იცოდა ინგლიის ფილოსოფოსთ ნაწარმოები და ჭაზრები, უცხო ქვეყნის მწერლების, მეცნიერების და სხვების. ასე, რომ ოცს წლამდის ოვენი განათლებულ პირად იყო ცმობილი. ერთ წლის განმავლობაში ეს ისეთ ცქვიტ ვაჭრის შეგირდათ შეიქნა, რომ ცხრა წლის ბიჭმა დიდი ნიჭის ნიშნები გამოიჩინა, ამ დღიდამ იგი გახდა

თავის ვაჭარ ოსტატის საუკარელ პირად და მის ქუბასა და ნიჭიერებას მრავალს ვაჭრებში ლაპარაკობდნეს. ოვენმა თავის გამჭრიახობით და მეცადინეობით იქამდის მიგიდა, რომ ჯერეთ ისევ თხუთმეტ-თექვსმეტის წლის უმაწვილი კაცი ვაჭრობის გამოხენილ მცოდნედ იქნა ცნობილი. რამდენიმე ხნის შემდეგ მანჩესტერის სხვა და სხვა ვაჭრებმა იმას მიანდეს ვაჭრობის კომისიონერობა, რაის გამო, მან თავის ოსტატის ნება რთვით მოგზაურობა და ვაჭრობაც დაიწყო. ამ მოგზაურობის დროს იგი უფრო დასელოვნდა ვაჭრობაში და ასეთ საქმეების ცოდნაში. ეს თავის მეცადინეობით ისეთ ნაირად იქმნა წინ წასული და თავის უფროსისაგან შეუკვრებული, რასგამო მის უფროსმა მთელი თავისი საშუშაო ქარხანა ოვენს გარდასცა, რომელი ქარხანაც სამხრეთ შოტლანდიის ერთს სოფელს ნიულანკრში არსებობდა. ამ ქარხანაში ქარხნის პატრონმა სრულს თავის სამაგიეროდ რობერტ ოვენი გამოაცხადა. ამათი კავშირი იქამდის დაახლოვებული იქმნა, რომ შემდეგ ოვენმა ამ მექარხნის ქალიც შეირთა და ამით სიძეობაც გაუნდა. ამ ქარხანაში შესვლის დღიდამ იწყება ოვენის თვალსაჩინო მეცადინეობა, რადგანაც ოვენმა ქარხანაში შესვლის დღიდამვე მიაქცია დიდი ყურადღება იქაურს ბუშების ცხოვრებას. თვალთ საჩინოდ მიტომ ვამბობთ, რომ ოვენის სიმამრმა ეს ქარხანა ოვენს მიტომ გარდასცა, რადგანაც იგი თავის მუშებისაგან ერთობ მობეზრებული იყო და ზარალშიაც ვარდებოდა. ქარხანაში ყოფნის დროს რობერტ ოვენი მიტომ უფრო მეცადინეობდა მუშა ხალხის ცხოვრების გაცხობას და გაგებას, რადგანაც მის წინა მოადგილე თავის ყოველნაირს ზარალს თავის მუშების მტრობას აწერდა. ეს ასეც იყო და მუშების ასეთ მტრობას თავის კანონიერი მიმართვაც ჰქონდა.

ამ დროებში, ინგლისის მდიდარ შეძლებულ ვაჭრებს და მექარხნებთაგან მათი მუშა ხალხის საქმე ერთობ საძწუსარო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, ამ შეძლებულ ხალხისაგან

მუშა ხალხი ერთობ უსამართლოდ იყო დატანჯული და შეწუხებული, ამათ შრომის ფასის საქმე ისე იყო დაყენებული, რომ მუშა ხალხს თავის დღიურის დაუღალავის შრომიდამ იმდენი ფასის შესავალიც არ ჰქონდა, რომ მას ხანდისხან მით ხეირიანი სადილი მაინც ეჭამა, დილიდამ საღამომდის იგინი მუშაობდნენ დაუღალავად და მის სანაცვლოდ-კი მათ ხელში არაფერი რჩებოდათ, უმეტესი ნაწილი ტოლის შერთვასაც ვერ ასწრებდა, რადგანაც მათ არამც თუ ტოლის შერთვა, არამედ თავიანთი დღიური საზრდოც უჭირდებოდათ. რომ იგი მოეზოვნათ და მით თავი ერჩინათ, ასეთ დაბრკოლებულ მიზეზების გამო, რაკი იგინი თავიდამვე სცდებოდნენ და იკლებდნენ იმას, რაც-კი კაცისთვის ბუნებისაგან აუცილებელს მოთხოვნილებას შეადგენს, მის გამო იგინი ერთობ ადრევე ეძლეოდნენ დაუძლურებას და სსეულით დაოსებას; ბოლოს ამის საქმე ისე მიდიოდა, რომ ეს მუშა შეასანშიგე ესალმებოდა ამ სოფელს. იეკნენ იმისთანა პირნიც, რომელნიც თავიანთ სსეულის მოთხოვნილებასაც ისრულებდნენ, მაგრამ იგი არ წარმოადგენდა იმ გვარ ბუნებითი კანონიერს მსარეებითგარემოცულს დამაკმაყოფილების ძალებს, რომ-ორისაც რიგი და წესია; ამიტომ ასეთს არა კანონიერ დაკმაყოფილებასაც იგივე ვნება მოჰქონდა, რაც დაუკმაყოფილებას და მასთანავე ხშირად ისეთ სენსა და ვაი-ვაგლახშიაც ვარდებოდნენ, რაც მათ უმსამავდა მთელს სსეულს და ბოლოს დიდი წუევლა გინებით და დაბადების გმოჰა შეჩვენებით სიცოცხლეც ესზიზღათ. ასეთი ასალგაზდა მუშა ხალხი მეტის მეტად დაჩაგრული და დასჯილი იყო და ის თავის სიცოცხლის წუთებს ისე ატარებდა, რომ იგი თავის შრომის ფასისაგან ერთხელაც ვერ გაისარებდა ხოლმე. ასე დამდაბლებული იყო ეს ხალხი და იგი ხალხად არავის მიაჩნდათ, მათ უცქერდნენ, რ.გორც უსულო არსებას, ანუ მაშინას, მექანსნეები ამათ სასტიკ უსამართლობას უწევდნენ და ესევე უსამართლობა სდებოდა მათ ყოველნაირის

უბედურების და უსამართლობის დამბადებელ მიზეზებად, რაის საშვალებით იგინი უსამართლოთაც იდუპებოდნენ, მაგრამ მათის დაღუპვით და უბედურებით არც ერთ ინგლისელ მექარხნეს თუ სხვა მდიდარს გული არ უტოკდებოდათ და არ იქცევდა მათ შებრალებით მსარეებით სავსე ყურადღებას და თანაგრძნობას.

ამიტომაც იყო, რომ ეს საბრალო და უსამართლოდ დაჯანჯული მუშა სალხი ასეთ რამეებს კარგად გრძნობდა და მას თუმცა არ შეეძლო, რომ თავის გაჭირებულის თავისა და ცხოვრებისათვის წამალი დაედო და დაეხსნა, მიტომ მის მაგიერ მან ის მაინც იცოდა, თუ მის ასე დამდაბლების მიზეზად ვინ იყო და ვინ აყენებდა მას ასეთ უბედურს გზაზე, ამიტომაც იყო, რომ ესენიც თავიანთ მექარხნეებს ერთობ ზიზღის თვალით უმზერდნენ და ყოველ თავიანთ უბედურების და ბოროტების მიზეზებს მხოლოდ ამ მექარხნეებში სედავდნენ, ამის გამო ესენიც ყოველთვის თავგადადებით იმას მოლვაწეობდნენ, რომ თავიანთ მექარხნესთვის სამაგიერო გადაესადნათ და ისე მოჭქცეოდნენ, როგორც შეეფერებოდათ მათ. ამათ თავიანთ მუშაობაზე გულის ყური არ ჭქონდათ და ესენი ყოველთვის უსალისოდ და ცუღლუტობით საქმობდნენ, ამათ კარგად იცოდნენ ის, რომ რაც გინდ ბევრი იმუშავო და თავი ჩააკლა მექარხნის საქმის მუშაობაში, მაინც შენ იქიდამ ბევრს ვერაფერს მიიღებო. ჯანდაბას ამათი თავიო, ჭეიქრობდნენ მუშები, როგორც ჩვენი მექარხნეები გვაწვალებენ და გვტანჯავენ, ჩვენც ისევე მოვექცევით მათაო. მართლაცა და ბევრს ქარხანაში ესენიც ისევე იქცეოდნენ, როგორც მათ სურდათ, მაგრამ მათს ასეთს საქციელს მათ წინააღმდეგ უფრო დიდი ვნება მოჭქონდა, ვიდრე მექარხნის, რადგანაც მექარხნე შეუტყობდა თუ არა ამათ იმას, მაშინათვე იგიც ისეთ ზომებს ადგებოდა, რაც უფრო ხელს უმართავდა ისევ მექარხნეს და მუშა კაცი-კი უარეს მდგომარეობაში კარდებოდა, რადგანაც მას ყალთაბანდობას და მუშაობაში

ლალატსა და მტრობასაც სწამებდნენ. ამის მეოხებით ამათ სშირად ადგილიდამაც ითხოვდნენ და სახელად ზარმაცსაც უწოდებდნენ. ამ პირების წინააღმდეგ მრავალი მექარხნეები პირობასაც სდებდნენ, რომ იგი ალარ დავიგზავნოთ ქარხანაში სამუშაოთა. მექარხნეები თავიანთ წადილს ისრულებდნენ და ამით საქმე ასე მიჰყავდათ, რომ მუშა ხალხს იმ დღიურს საზრდოსაც უწუკვეტდნენ, რაც მას ჰქონდა თავის დღიურს ულუფათა, მის გამო დაბალს ხალხს ასეთ გაჭირებაში აგდებდნენ, რაის გამო იგი ეცემოდა ზნეობით, პატიოსნებით, სინიდისით და სხვებრივ. აქ სინიდისს და ზნეობას ვილა კითხულობდა, რადგანაც მუშა ხალხი შიმშილისგან იყო შეწუხებული. მე მგონია, რომ ისინი უფრო დიდ უსამართლო და უნამუსონი იყვნენ, ვინც ამათ ამ დღეში აგდებდნენ. იგი ხდებოდა თავის ერთი ლუკმა დღიურის მოპოვების მონად და ხშირად ამისათვის თვით ღვიძლს ქალებსაც-კი ჰყიდდა. მაგრამ ბევრს მექარხნესაც-კი ითვად არ უჯდებოდა ეს, მინამ ზოგი გაიგებდა მუშების ასეთს განზრახულებაებს, მინამდის ბევრი ფაბრიკანტი გაკოტრდა და დასცეს მათ ისე, რომ ამაი თავიანთ ქარხნებში მუშაობას თავი გაანებეს. უნდა ითქვას, რომ ამ საქციელსაც რამდენიც მექარხნეებისათვის მოჰქონდა ზარალი, იმაზე მეტი ცუდი გავლენა მუშებზე ჰქონდა, რადგანაც რამდენიმე კაცს უცბად სტოვებდნენ უსაქმოდ და ამის გამო ესენიც რჩებოდნენ ულუკმა პურად, რაის გამო დროებით უფრო წვალობდნენ და იტანჯებოდნენ უსამართლოდ. ამ საბრალოთ დაჩაგრულ და დამშეულ პირთ უბედურს მდგომარეობის წინ მსვლელობას უფრო 1775 წლიდამ მიეცა, როცა ბ. არკრაიტმა საქსოვი მაშინა მოიგონა და ინგლისის მექარხნეებში გავრცელდა. ამ მოგონებულს სენს მუშა ხალხი როგორმე გაუძლებდა და ამ ხელობის ხალხი სხვა და სხვა ხელობებში დაიბნეოდნენ, მაგრამ 1780 წლიდამ ამ დაცემულ ხელობის მუშებს სხვებიც მიემატნენ, რადგანაც 1780 წ. ბ. უატმაც ორთქლის მაშინა მოიგონა.

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი მუშა ხალხი ეძლევოდა ყოველ ნაირს დავრდომილებას, უძლურებას, ზნეობითი სიწამ-ხდრეს, გონებითი გაფუჭებას, სიმტეუნეს, ქურდობას, სხვის საკუთრების მოტაცვას, დასაკუთრებას, მოტეუებას და სხვას. ამისათანა საქმეების შეხებით იგინი უფრო სძულდებოდა ხალხს და ამათ ისე უმზერდნენ, როგორც ავაზაკებს, როგორც სასტიკ მტრებს. ხშირად ამათ სამართალშიაც აძლევდნენ, სადაც მათ სასტიკად სჯიდნენ ყოველს უბრალო დამნაშავობაზე და ერთობ მკაცრათაც ასამართლებდნენ, რომ მით ეგები მოესპოთ ამათში ავაზაკობა, ქურდობა და სხვანი. მაგრამ თქვენც არ მომიგვდეთ, რომ ამათ ეს ვერ მოახერხეს და მუშა ხალხში მათ ვერცარა სასტიკის განრ მდებლობით მოსპეს სიცუდე და გარეგნილება, ვერც ტემით, ვერც ტიხეებით, ვერც სიკვდილით და ვერც სხვადასხვა შეწუალება-დასმარებით. ყოველს მათს ასეთს მოქმედებას და მოპურობას უფრო ცუდი შედეგი მოსდევდა და ეს შედეგი მათზე უფრო სასტიკად მოქმედებდა და სჯიდა. ეს მათ უფრო ამრავლებდა და თითქმის ყოველს ასეთს საქმეში ამხნევებდა კიდეც, რომ მას თავის დაუძინებელის მტრისათვის სასტიკი ბრძოლა გაეწია. ერთის მწერლის თქმით ერთ ქარხანაში მუშაობდნენ 2,400 კაცი. ეს მუშა ხალხი ისე ეოფილა დაცემული და ზნეობით წამსდარი, თავიანთ სიღატაკის გამო, რის მეხებით ამ მუშებში რამდენიმე ხეირიანი კაცი ძლივს მოიპოვებოდა. ამათში ლოთობა საშინლად ეოფილა გავრცელებული. ვერც ერთი ამათთგანი ვერ ინახავდა ვერც ერთ ეპეიკს თავის ჯამაგირიდან, ყველა ამას ისინი ლოთობაში ხარჯავდნენ და აბნევდნენ. რაცა-კი ყველაფერს შეშჯამდნენ ესენი და ალარა ექმნებოდათ-რა, მაშინ ამათვის ქურდობა სდებოდა საქმედ. ყველა მუშას აქ თავის ნივთები ეოველთვის მაგრად შენახული, ანუ დამალული უნდა ჰქონიეთ, თორემ მას ეს ნივთი მალე დაეკარგებოდა და ბოლოს ველარც იპოვნიდა, ასეთი მდგო-

მარეობა ამ ხალხს ერთს მეორეზე ასვლა, ყველა ერთმანერთის წინააღმდეგნი იყვნენ და თითქმის ყველას დანა ეჭირა ხელში თავის ამხანაგის წინააღმდეგ, ყველა ამაებს ზედ ემატება მათი შინაური საოჯახო საქმეების აწეწვ-დაწეწვილი მდგომარეობაც და მასთანვე მათი სარწმუნოებრივის მსარეებით სხვა და სხვაობის გარჩევა და მღელვარება. ყველა ესენი სასტიკად მოქმედებდნენ მათზე. ამათი შვილების მდგომარეობაც მეტის მეტი საგრძნობი იყო. ესენი თითქმის გაუნათლებლად შთებოდნენ, სრულიად უსწავლოდ. ესენი წამოიზრდებოდნენ თუ არა ბატარა ამათ მაშინათვე ქარხანაში მიათრევდნენ შეგირდად, სწორეთ ისე, როგორც ჩვენში იციან დღესაც, რომ უმაწვილი გახდება თუ არა 7-8 წლისა, მას მაშინათვე სადმე დუქანში შეგირდად მიათრევენ, სადაც, ვინ იცის, რა მწუსარებას არ ითმენს ეს. სწორეთ ასეთივე მსვედრი მსვდა მე და 7 წლისა ყველა ისეთ დუქანში მიმეცეს შეგირდად, სადაც ბევრ ნაირს სიბინძურეს და და სიმურტლეს შესწავლის გარდა მე იქ სხვას ვერას ვსწავლობდი და ამ უბედურის ადგილიდამ მე ისეთ წერტილამდის მივედი რომ 12 წლის ყველა ჯიბგირებში ცნობილ ოსტატ შეგირდად ვიყავი. ინგლიურს ქარხნებში მიყვანილი ბავშვებიც მეტის მეტ სატანჯავს მდგომარეობაში ვარდებოდნენ, ესენე ლოთ და გაფუჭებულს მუშებთან ლოთობას და გარყვნილობასვე სწავლობდნენ და ნაცვლად ზნეობის შესწავლის ამათ აქედგან ზნეობითი გარყვნილების მეტი სხვა ერთეერი გამოჭქონდათ-რა, ესენიც ისეთივე უბედური მუშები ხდებოდნენ, როგორც მათზე უმეტრესნი ქარგარ-მუშები. გარდა ამისა ეს უბედური ბავშვები თავიანთის მცირეწლოვანების მეოხებით მუშაობისაგან ერთობ იღალებოდნენ და იჩაგრებოდნენ, ესენი გარდამეტებითის მუშაობით იმ წერტილამდის აღწევდნენ, რომ ხშირად უსიხარულოთაც იხოცებოდნენ, აკვადმყოფობაც სომ მათში ერთობ ხშირი იყო. ყველა ასეთ გაჭირებას უმაწვილების თავიანთი მშობლები მხოლოდ მიტომ

ითმენინებდნენ, რადგანაც ყმაწვილის ქორწინაში შესვლის შემდეგიდამ დედ-მამას თავიდამ სტილდებოდა შვილის დღიურის საზრდოს მოპოვების შრომა და დამზადება, ნაცვლად ამისა ბატარა ყმაწვილს თავის ნამუშევარ შეგირდანიდამ სარჯს გადანარჩენი სახლში უნდა მოეტანა თავის მშობლებისათვის. ასეთი ბატარა ყმაწვილებისაგან მონაგარის თულის გამო მათი მშობლები ისე იყვნენ გაწუწკებულნი, რომ ამათ თავიანთ ბატარა შვილების შებრალება და ზნეობითი ზრდა და დაცვა სულ უბრალო რამეთ მიაჩნდათ, ოდონდ მათ-კი თავი ერჩინათ და მშობლებისათვის ცოტაოდენი შეგირდანა მიეტანათ, თორემ სხვა თერიგ თავიანთ შვილებთან საქმე არ ჰქონდათ, გინდ ამ ბატარებს ექურდნათ და ასეთი საქმეები ჩაედინათ. უნდა ითქვას, რომ სადაც-კი ბატარა ბაზრიანი სოფელი ყოფილა და აქ მდიდარი მექარხნეები და მემამულენი მდგარან, აქ დაბალი სალხი სრულიად დაცემული და დაუძლურებული ყოფილა, გარდა ამისა იქ მდებარე დუქან ბაზრის გამო გარეგვნილებას, ლოთობაში და უძლურებაში ჩავარდნილი.

რობერტ ოვენის წინა მოადგილე თავის ქარხანაში, მართველობის დროს ბევრს ნაირს ზომებს ხმარობდა, რომ მით ეგები ეს მუშა ხალხი როგორმე გამოეწურთვნა და კარგს ცხოვრების გზაზე დაეყენებინა. ეს ამისთვის, ვინ იცის, რა ზომებს არა ხმარობდა, ბევრს კარგს დარიგებებს, მამაშვილურის კილოთი და ბევრს მუქარებას, საყვედურს, სასტიკ ბრძანებას, რომ ქარგრს მექარხნის სიტყვა მაშინათვე აღესრულებინათ, გარდა ამისა სამართალში მიცემას და დასჯასაც ასერხებდა. სასტიკს დასჯის გარდა ხშირად ჯამაგირსაც უკლებდა, სხვა და და სხვა დროს სხვა და სხვა მცირე ხნით მომცდარს დროშიც ურიცხავდა თულს, საქმიდამაც ითხოვდა, მაგრამ უკელა ასეთი სასტიკი მოქმედება მათში არაფერს სჯობდა. როდესაც-კი დაუკლებდა ხოლმე ჯამაგირს, მუშა ამის შემდეგ იმას მეცადინეობდა,

რომ ქარხანაში ზარმაცობით ყოფილიყო და ისევე ემუშავნა, რადგანაც მექარხნემ მას სრულიად უმიზეზოდ დაუგლო ჯამაგირი. ზარმაცობას ესენი მიტომ შვრებოდნენ, რადგანაც წინანდელ ჯამაგირსაც თუმცა იგინი სრულიად სჯამდნენ და აქედამ მათ არაფერი რჩებოდათ, მიტომ მის მეოხებით დასაღეგი მაინც ჰქონდათ, ჯამაგირის დაკლებიდამ-კი მათ დაკლებულის ჯამაგირიდამ დასაღეგიც აღარ შეეძლოთ, რომ ეყიდნათ. ამიტომაც ესენი უგულოთ მუშაობდნენ და ზარმაცობდნენ. ამის გამო მათ სამუდამოდ საქმიდამაც ითხოვდა მექარხნე, მაგრამ მათ ვერც ეს აშინებდა და შველოდა, რადგანაც ამათთვის სულ ერთი იყო, გინდ გაეკიცხა ვისმეს, გინდ დაეუვაებინათ და ექოთ. ამათ ერთის მხრით თავიანთი მექარხნეების მღელვარება, გაშფოთება და ყვირილი სასიამოვნოთაც მიაჩნდათ, რადგანაც ესენი ამასში სედავდნენ ყველა თავიანთ უბედურებათა მიზეზებს. ქარხნიდამ გასული მუშები საბრალოდ დადიოდნენ აქ-იქ, ხშირად ესენი უსახლკარობაც რჩებოდნენ, ზოგი მათგანი, ვისაც-კი ფული ჰქონდა ბივანანებში ათენებდნენ, ზოგი ვინიცის სადა, ზოგი სანაგვეზე, ზოგი წყლის პირას და სხვა. ყველა ამათგანს ტანზე ტანთ საცმელიც-კი გასასყიდად უხდებოდა თითქმის, რომ მით დღიური საზრდო ეშოვნათ. ბევრი ამათგანი თავიანთის ცოლშვილით იქამდის დაცემულები იყვნენ, რომ მათ ერთი პატარა ოთახის დაჭერაც-კი არ შეეძლოთ, რადგანაც ქირის გარდასადის სიშვალეაც არ ჰქონდათ. ვატსონის თქმით ეს საბრალოები ბივანანში შედიოდნენ, იქ მოითხოვდნენ ერთ ჩარექ ბივას და ამ ბივას გვერდით სკამებზე მსხდომნი ათენებდნენ მთელს ღამეს, უმაწვილებიც მათ მუხლებ შუა უდგნენ, მუხლის თავებზე დაყრდობილნი. ამეტის მეტი პატარა ბავშვები მუხლებზე ისხდნენ, ისე ეძინათ და ისე ათენებდნენ ღამეს, გათენებისასკენ ესენი სისხამ დილა ადგებოდნენ და წავიდოდნენ ლონდონის ქუჩებისაკენ. ასეთი უბინაო სალხის გამრავლების მიზეზად უფრო ის სდე-

ბოდა, რომ აქაური მიწები და მამულები სულ თავად-აზნაურობას და მდიდარს პირებს ჰქონდათ ხელში ჩავარდნილი, რადგანაც ამათ წინდაწინვე მოასწრეს მიწების ხელში ჩაგდება, დასაკუთრება და ისიც ისე დაპატრონობა, რომლის გაყიდვა მათის კანონის ძალით არც ერთ თავადის და აზნაურის შვილს არ შაეძლო, რომ ის გაეყიდნა, ყველა მამულები ,,მემკვიდრეობით გადადიოდა გვარის ერთ უფროს პირზე. ეს წესები საუფლოს მათმა თავად აზნაურობამ შემოადებინა, რომელსაც მათებურად, «მაორატი» ჰქვიან. ამისთანა წესების შემოღებას, ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენი თავად-აზნაურობაც ელტვის, რაისგამო მათ ამ სამი წლის წინეთ თბილისში სვლაც ჰქონდათ, ამის შესახებ მათ ყველამ ერთ ხმად დაამტკიცეს ეს და მართველობას წარუდგინეს, მაგრამ მართველობამ არ შეიწყნარა, რადგანაც ამაში კანონიერი და სინიდისიერი სრულიად არაფერი იყო. ინგლისის მუშებს რა-კი ყველაფერი წართმეული ჰქონდათ თავიანთ მდიდარ თავად აზნაურ და მექარხნეებისაგან, ამიტომ ამათ არაფერი გააჩნდათ, არც სახლი, არც კარი, არც მიწა, არც მამული და ამიტომ საქმიდამ დათხოვნა თუ გაგდება, შიმშილით ყოფნა თუ სხვა რამ სულ უბრალო რამეს შეადგენდა. ერთი მუშა გადიოდა ქარხანიდამ, ეს წასწავლებდა უსაქმოდ, ამის მაგიერ ქარხანაში დგებოდა მეორე მუშა, რომელიც პირველ დღეებში-კი პატარა კარგა მუშაობდა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ესეც ისეთივე პირი გამოდიოდა, როგორიც მის მოადგილე ძველი მუშა. ასეთ მდგომარეობაში იყო რობერტ ოვენის წინა მოადგილის საქმე და ის თავის სასტიკის ზომებით სრულებით ვერაფერს სიკეთეს სთესავდა და ავალებდა ამ ხალხს. თუმცა ეს თავის სასარგებლოდ ერთობ მოქმედობდა, ბევრს ჯამაგირს უჭერდა, ბევრს ვინ იცის რას არ უშვრებოდა, თავის საქმეზეც ის ყოველთვის მუყაითად იყო, მაგრამ მოგება-კი მაინც არ ჰქონდა და ყოველთვის ზარალში იყო. ამის მიზეზები

იქიდამ აიხსნება, რომ თუმცა ეს სჯიდა და ერთმეორე ხშირად უკანონოდ მუშებს ჯამაგირებს და უკლებდა, მიტომ არც მუშები აკლებდნენ ამას საძაგიეროს დ ესენიც ჯიბრის გამო საიდუმლოდ ვსებდნენ და მტრობდნენ თავიანთ მტერს, რომლის დანაკლისის და ზარალის ცნობები მხოლოდ ბოლოს აშკარავდებოდა მექარხნის წინაშე. ესენი მხოლოდ ბოლოს გრძნობდნენ ამას, მაგრამ მუშა სალხის შებრალება-კი მაინც არ უჩნდებოდათ გულში, ნაცვლად ამის მტერობას უფრო გრძნობდნენ, რადგანაც უკეთა თავიანთ უბედურების მიზეზებს სულ მუშებს სწამებდენ და ამათში ჭსედავდნენ.

რობერტ ოვენი მუშა სალხის ასეთს მდგომარეობას ერთობ გულის ეურით აქცევდა ეურადღებას, ის ამ სალხის ცხოვრებას ულრმესის გარჩევით და გასსჭვრეტით უკვირდებოდა და უმზერდა; მას უნდოდა, რომ ასეთი სალხის ცხოვრებაში რამე კაი წესებიც შეეტანა. ამ სანებში ეს გონებითი განვითარებითაც წინ მიდიოდა, რადგანაც დღე და ღამე კარგსა და კარგს წიგნებსაც კითხულობდა. ამ წიგნების კითხვის საშვალებით ოვენი უდიდეს ჩინებულ პირთაგანი შეიქმნა და მან თავის სასელი დიდთაც ასახელა. ეს ამავ დროს საკმარისათაც მდიდრდებოდ. რადგანაც მან თავის ქარხნის საქმე ერთობ კარგა დაეყენა და როცა ეს გაამაგრა, შემდეგ ამას მიჭყო ხელი მუშა სალხის მდგომარეობის შეცვლის წესებს. შესწავლით და სისრულეში მოყვანით რობერტ ოვენი იქამდის გეთიდის და ადმატებულის თვისების იყო, რომ იგი არც ერთ მუშა კაცის დამნაშაობას ავაზაკობის ავის თვალით არ უმზერდა, ამის თქვენით ასე იყო, კაცი თავის დღეში ცუდს არაფერს არ ჩაიდენს, თუ მას თავის გარშემოსაზღვრული მდგომარეობის პირობები არ ჩააგდებენ ისეთს მდგომარეობაში მას, რომ მან ცუდი არაფერი ჩაიდინოსო, დედის მუცლიდამ ცუდ-კაცად არავინ იბადებაო. ამბობდა ოვენი, ყველაფერი დამნაშაობა და სიცუდე დამოკიდებულია თვით კაცის

ცხოვრების პირობების წესებზეო. ამიტომაც იყო, რომ ოვენი ყოველ ავაზაკ და ყაჩაღ მუშების საქმეს სხვა სარის თვალით უმზერდა და მათში მაინც არ ჭსედავდა ბევრს რამ მოუსპობელს და შეუცვლელს, პეტეიფერი ამბობს, რომ ოვენის ფიქრით კაცი არც კეთილი იბადება და არც ბოროტიო, საითაც მას გარემოება და ცხოვრების პირობები წაიყვანს, ესეც იქით მიდის და ეს პირობებია მის უბედურების მიზეზათაო. ამის გამო არას დროს არ უნდა დასჯოს რომელიმე პირი, რაც უნდა დიდი დანაშაული მიუძღოდეს მასაო. რადგანაც დამნაშაობაში ეს-კი არ არის მიზეზი, არამედ მისი ცხოვრების სხვა და სხვა პირობებიო. ოვენი რაკი ასეთს მოძღვრებას ადგა, მიტომ მან ეს საქმით და მაგალითითაც განახორციელა.

ეი, ამიტომ რობერტ ოვენმა თავის ჭაზრების განსორციელების საქმეს პირველად თავის ქარხნის მუშებში მისცა მსვლელობა და პირველად თავის ქარხნის მუშებში დაიწყო მოქმედება და მოღვაწეობა. ამ ხანებში ეს ღატაკი დედ-მამის შვილი ოვენი ისე წავიდა წინ, რომ მის სიმდიდრის რიცხვმა კარგა დიდს რიცხვზე აიწია და მალე სახელგანთქმულ მილიონამდისინაც მიაღწია. ერთის მხრით, მცირე ხნის განმავლობაში, ასე დიდი შეძლების შეძენა მეტად საკვირველია, რადგანაც ერთის გამოჩენილის მწერლის სიტყვით სიმდიდრის შეძენა არის ისო, რომლის გამოც ერთი შეძლებული პირი მეორეს ჩაუდგება ჯიბრში და ეს თავის ექსპლუატაციით სხვას გამოსწუწნის და წაართმევს იმასაო, რომელსაც თვის სიმდიდრედ შეიძენსო. ერთის სიტყვით სიმდიდრის შეძენა არის სხვის შრომის საშვალებით შეძენილიო; მაგრამ ოვენზე ამის გაფიქრება ჩვენ არ შეგვიძლიან, რადგანაც ამის ცხოვრებიდამ მთელი რიგი სჩანს ისეთს სამაგალითოს საქმეების, რომელნიც ნათელს ჭფენენ მის კაცთა თანასწორებრივ ღირსების ბრძოლის საქმეებსა. ეს პირი ამით მეტად აღმატებული რამ არის, ამ პირს მთელი თავის შრომა მუშა ხალხის

ბედნიერების გასაუმჯობესებელ მსხვერპლად მიაჩნდა და ამიტომ არა გვგონია, რომ მას თვის სიმდიდრე იმ დროის დაბალ ერის გამხმარის ძვლებიდამ გამოეწოწვნა და ისე შეეძინა.

რობერტ ოვენმა თავის ქარხნის მიღების დროდამვე დაიწყო იმის მეცადინეობა, რომ მას თავის მუშების წინაშე კარგად წაეყვანა სამუშაო საქმე და მით დაემტკიცებინა მათთვის, რომ ქარხნის პატრონი მათ ერთობ კარგად ეჭცეოდა, ეს მიტომ მოინდომა პირველის დღიდამვე ოვენმა, რადგანაც მას სურდა, რომ მუშა ხალხს ოვენის შესახებ პირველის დღიდამვე შეეტყო და სცოდნიოთ ის, რომ მათ შესახებ მათი მექარხნე ერთობ სინიდისიერად და პატიოსნებით იქცეოდა. ოვენმა პირველად მოჭიდა ხელი მუშების ნიკოთიერად დახმარების საქმეს, ის თვიერობდა, რომ მხოლოდ ასეთის დახმარების შემდეგ შეიძლება, რომ მათ ზნეობითი დახმარების საქმესაც მოვკიდო ხელი. ამან ასე დაიწყო თავის მოღვაწეობა და ოთხის წლის განმავლობაში დაუცხრომლად ილვაწა, ამ ხნის განმავლობაში თავის ქარხნის მუშების საქმე საკმარისად ეესზე წამოაყენა; მის მაგალითით მთელი იმ პატარა ქალაქის გარეგნილი ხალხის ცხოვრებაც შეიცვალა. საც ეს ქარხანა არსებობდა, მცირე ხნის განმავლობაში ამ ქალაქს ველარავინ სცნობდე. ოვენი ასეთ უაჩალ მუშებზე ასე მალე ვერაფერს გააწყობდა, რომ მას ოსტატურად არ ემოქმედნა. იგი ისე ოსტატურად იქცეოდა. ისე ძმურად, რომ იქ ესენი მექარხნე და მუშები კი არ იყვნენ, არაძმედ ძმები და ყველა ერთმანერთის თანასწორი. ამ ნიულარნკის ქარხნის მუშათ მცხოვრებთ, რიცხვი ერთის მწერლის რიცხვით ორი ათას მცხოვრები ყოფილა, რომელთა საქმეებსაც ოვენი პატრიარხაულად განაგებდა. ამის უმთავრესი კომუნისტიური სწავლა იმას შეიცავდა, რომ სოფლის ხალხი და ქალაქის მუშები ერთად შეერთდენ, მის საშვალებით გაესწენ ქარხნები, სამეურნეო ამხანაგობანი, სასოფლო და მის

საშვალებით აწარმოვონ თავიანთი საქმეები. აქ ამათში ყველაფერი საერთო უნდა იყოსო, ქონებაც, მუშაობაც და სხვა ყველა ამ გვარები. აქ ყოველ ჰირს მუშაობისათვის ერთი დრო უნდა ჰქონდეს დადგენილი და ამ დროს შემდეგ-კი იგი მუშაობას თავს ანებებს და სოფლის მართვის საქმეების გამგეობას ეძლევა და სიტყვით და სხვა ასეთის რამეებით მოქმედობსო, რომ მის საბერეში შესული სხეული გარდამეტების მუშაობისაგან არ დაიღალოს და მიტომ მალე არ მოკვდესო. ერთი მწერალი ოვენის ასეთ მიმართვას ერთობ აქებს, მაგრამ ამასაც იგი თავისებურს ნაკლულეკანებაებს უმებნის და მიტომ ამას ეს არათ მოსწონს. რაკი ოვენს უნდოდა, რომ მუშა ხალხისთვის ვრცელი დასმარება მიეცა და ეს თავის სურვილი მათთვისაც დაემტკიცებინა, ამიტომ მან მუშების დასმარების ჰირველ საჭიროებად სახლი დაინახა, ამან მაშინათვე მიჰყო ხელი ერთი დიდი სახლის გაკეთებას და ის ამან მალეც გააკეთა და სუყველა მუშები იქ მოათავსა, სახლის ქირაში მათ მცირე ფასს ახდევინებდა. და ამისთვის ოვენი ამბობდა, რომ ამათ გადასახად ქირის მოგების მაგიერად მათგან ისიც საკმარისი იქნება, რომ ესენი ქარხანასთან ახლოს იდგებიანო. ახალს სახლში დაბინავდნენ მუშები და ამით მათ დიდი შეღავათებაც მიეცათ, ესენი ოვენის ასეთ კეთილშობილურს საქმის გამო ერთობ გაკვირვებულნი და მადრიელნი იყვნენ. სასასლე იყო ბანებული, სუფთა და მასთანვე მშრალი ოთახები, ასე რომ მუშების წინანდელ სადგომებთან შედარება არ შეიძლებოდა, მუშები ასეთის საშვალებით ბევრნაირს საყვედურებს და მუქარებს მორჩნენ, რადგანაც ესენი სახლის ვატრონებს ხშირად ქირას ვერ უხდიდნენ თავის დროზე, ამიტომ მათ ყოველთვის ეჩხუბებოდნენ, ხშირად სიბოროტეს უტანდნენ. ასეთის საქმეების გამო რამდენი ვაი-ვაგლახი მოხდარა მუშებში ამას კაცი ვერ აღრიცხავს. სასახლის გაკეთების და მუშების შიგ დაბინავების შემდეგ ოვენმა მოჰკიდა სხვა საქმეს ხელი

13493

ამან მოინდომა თავის ქარხანასთანვე ერთი დიდი საკაჭრო დაეშენებინა, საიდამაც მუშებს შეეძლებოდათ კაჭრობა. ეს მან მიტომ მოინდომა, რადგანაც მუშები, რასაც-კი იღებდნენ, სუფეველა ამაებს სხვა და სხვა დუქნებში ხარჯავდნენ და „უბრალოდ აფუჭებდნენ. ესენი ამ კაჭრების კალიდამ ვერა ლონის ძიებით ვერ გამოდიოდნენ, ეს კაჭრებიც, რასაც-კი მიჰყიდდნენ ამათ, ყოველთვის ორს და სამს ამოდენას ანდეკინებდნენ, რადგანაც მუშებს ხშირად ჯამაგირის აღებამდის ნისიათაც უნდებოდათ წაღება, ნისიის წაღების დროს მედუქნეს როგორც უკლობდა და როგორც უნდოდა, იმდენს აწერდა მუშებს, ნამეტურ ლოთობის დროს, როცა ლოთობდნენ მუშები, მაშინ მათ შაურის ნაცვლად ანაზს აწერდნენ. კაჭრების ასეთის ოსტატობის გამო მუშების საქმე ისე იყო მომართული, რომ მუშებს ყოველთვის უკანასკნელს ძალასაც-კი სწერავდნენ სხეულიდამ. ერთის სიტყვით, რასაც-კი იქ მუშა კაცი იღებდა და შოულობდა სუფეველა ის მედუქნეებში მიდიოდა, ამიტ მედუქნეები მდიდრდებოდნენ და მუშა ხალხი-კი თავის უკანასკნელს დღემდის ცარიელ-ტარიელი რჩებოდა, ეს ცარიელ-ტარიელობა მას შვილებამდისაც მისდევდა, გარდა ფუღეების ფლანგვის უბედურება ერთი ისიც იყო, რომ მდიდარი მედუქნეები და კაჭრები ამ უბედურს პირებზე ისეთ რამეებს ასაღებდნენ, რაც დამპალი, გაფუჭებული და წამსდარი იყო, რასაც სხვები პირში-კი არა და სელშიაც არ იღებდნენ, ამის გამო ესენი ხშირად ავათაც ხდებოდნენ, ნამეტურ ცუდი საჭმელ-სასმელებისაგან ხშირად სნეულდებოდნენ და იხოცებოდნენ ჟიდეც. ოვენმა თავის პირველ დაწყებული საქმის შემდეგ იმიტომ მიაქცია ამას ყურადღება და მეორედ ამ საკაჭროს კეთებას მოჰკიდა ხელი, ასეთი საქმის გაკეთების შემდეგ ამ სოფელში მცხოვრებთ ოვენის ქარხნის მუშათ მდგომარეობა უფრო უკეთ შეიცვალა. ჰფეიფერის სიტყვით ყველამ გაიჩინეს მშვენიერი სახლები, მასთანვე პატარ-პატარა ბაღები. ასე, რომ

მცირე ხნის შემდეგ ნუილანკრის 2,400 მცხოვრებთ მდგომარეობა სულ სხვა ნაირად განასლდა და წავიდა წინაო.

საკვაკრო დაარსა ოკენმა და აქ რასაც-კი ჭეიდნენ ყველას ზომიერის თვასით, ისე რომ მოგებად თითქმის არათვერს იტოვებდა. მოგებად ასეთი ბირისთვის ერთი ისიც კმარობდა, რომ მუშებს კარგი თვისების ხორაგი და სხვა რამ ეყიდნათ და მით ესარგებლნათ, ასეთ საქმის დაწყება ოკენისაგან უბრალო იქნებოდა, რომ მუშებისათვის მას ნდობად არ გაეკეთებინა ნისიად ხარჯვისა. ეს რომ არ ექმნა და აქედამ მუშებისთვის ნისიად არათვერი მიეცათ, მაშინ აქედამ მუშები ვერათვერს დახარჯავდნენ და ამათი ცხოვრების ბედი ისევ უსამართლო ჩარჩებს ექნებოდათ სულში ჩავარდნილი, ამიტომ ოკენმა საკვაკრის გახსნის უმალვე მუშებს ნდობა (კრედიტი) გაუკეთა, რომ ნისიად ესარჯათ, ამან გაკეთებინა დავთარი და ყველა მუშებს სათითოდ დაურიგა, მუშებს შეეძლოთ საკვაკრადამ ნისიად წაღება ყველაფრის და რასაც-კი წაიღებდნენ, ეს იმწამსვე იწერებოდა დასლიდრისაგან დავთარში. თვის გასულს, როცა ჯამაგირის მიცემის დროს მოვიდოდა, მაშინ ნისიად დამხარჯავთ მუშების ნისიის დავთარს კითხულობდნენ, დანახარჯის ანგარიშს აღგენდნენ, ნისიას ურიცხავდნენ და დანარჩენს აძლევდნენ, ანგარიშის დროს მართალია მუშებს ჯამაგირიდამ ბევრი აღარაფერის მიღება უხდებოდათ, მაგრამ ნაცვლად მის მათ მომავლისთვისაც ჭონდათ ნდობა ნისიისა და ამითი დაიმედებულნი იყვნენ, რომ იგინი მიიღებდნენ ნისიად ყველაფერს, რომელიც ბევრით უკეთესი იქმნებოდა, ვინემც ის, რომელსაც ესენი სხვა ჩარჩებისაგან ყიდულობდნენ. ამის შესაბებ თვით მუშებიც დარწმუნდნენ და ოკენის ყველა განძრახულებაც კარგად გაიცნეს. შემდეგ და შემდეგ ოკენის საკვაკროს საქმე ისე წავიდა, რომ აღარც ერთი მუშა აღარ მიდიოდა სხვა ვაჭართან, რომ იქ ამას ეყიდნა რამე. ასე, ამისთანა მოქმედებით ოკენმა მუშა ხალხში ბევრ ნაირი

ახალი წესები შეიტანა, გარდა წესების შეტანისა, ამათშივე შემცირდა ქურდობა, წართმევა, გაგლეჯა, მოტეეილება და სხვანი. აქვე დაარსა მან საავადმყოფო, ავად-მყოფთა და მოსუცებულთა და დავრდომილთ თავ-შესაფარავად, მაგრამ ლოთობის მოსპობას-კი ვერაფერი მოუგონა და ვერაფერი უშველა, მუშები მაინც ისე იქცეოდნენ, რომ ლოთობის გამო სმირად ნივთებსაც-კი აგირავებდნენ და მიდიოდნენ მხოლოდ ამისთვის სხვაგან, რომ იქ ელოთავნათ. ოვენმა ამის მოსასპობლად ბევრი ეცადა, მაგრამ ამის წინააღმდეგ არ იქმნა და ვერა მოასერხა-რა. ამის გამო ამან მოიწადინა სასმლის საკეთებელ გახსნა და ეს მაღეც მოასერხა. ეს საქმე მუშებს ერთობ ესიამოვნათ, მხოლოდ იქაურს სასმელებით მოვაჭრე მდიდრებს-კი არ ეჭაშნიკათ ეს და ამათ ოვენს ჯიბრშიაც ჩაუდგნენ, მაგრამ რას იზამდნენ, მუშებმა დაიწყეს აქ ვაჭრობა და აქაც იგივე დასვდათ წინ, რაც პირველს საკეთებელში, სასმელს ბევრად იაფად აძლევდნენ და ამასთანავე კარგსაც, სიკარგის გამო ყველა მუშებმა აქ დაიწყეს სიარული. პირველ ხანებში ესენი აქაც ლოთობდნენ, ამ ლოთობას ოვენი სრულებითაც არ უკრძალავდა, რომ მით მუშებს მასზე ცუდი ჭაზრი არ შეედგინათ, მაგრამ თუ არ უკრძალავდა, მიტომ არც უწონებდა კინმე აქ ამ საქციელსა, ამათ ლოთობას აქ ისე არ იცავდნენ, როგორც სხვა საკეთებელში, რა-კი აქ ლოთობის გავრცელების მომხრე და დამცველი პირნი არ უჩნდებოდნენ, სხვა დუქნის დასლიდრებივით დამთვრალ კაცებს სტოლზე კიდევ ჩარექეს-ჩარექეზე არ ასლიდნენ, ამის გამო ცოტა არ იყოს, მუშებში ლოთობამ კლება დაიწყო და ბოლოს ამან თვალთ საჩინოთაც იჩინა თავი. ოვენმა ამავე დროს უცოლ-შვილო მუშებისათვის სარმოვნიკის საკეთებელ გახსნა, სადაც ყველა ამ უცოლ-შვილო ასალგაზრდა პირებს შეეძლოთ შესვლა და საჭმლის ჭამა, რომელი საჭმელიც შედარებით სხვების საჭმელებზედ ბევრად უკეთესი იყო. აქ ეს მუშებიც ამავე ნისიით სჭამდნენ

საჭმელს, როგორც სხვებს, მხოლოდ დავთარში სწერდნენ ყველა ამაებს. უცოლ-შვილო პირებისთვის ოვენმა ეს იმიტომ მოსერხა, რადგანაც ყოველ ნაირი ლოთობა, ლაზღანდარობა, და სხვანი ამ უცოლ-შვილო პირებისაგან უფრო იშვარებოდა და ინახებოდა. აქ ეს მუშები ამ კეთილ საქმეების პატივის-ცემით ისე წავიდნენ წინ და ისე გამოიცვალეს, რაის საშუალებითაც ამ პატარა ქალაქში ყველა ლოთს ისე უმზერდნენ, როგორც ჭურდს და ავაზაკს. ამასთანავე მუშა სალხის ჯანის სიმრთელეც დაწინაურდა და მითში კი საჭმლის ჭამის გამო ბევრ ნაირმა ავადმყოფობამ იკლო, მაგალითად, მუცლის ჭურიალმა, კუჭის ტკივილმა, თავლარათობამ და სხვ. კარგმა სასმელ-საჭმელმა კი ჯანის სიმრთელის და სიხალის დასაწყისიც დაბადა.

ასეთ საქმეების მეკეთებელ პირს-კი ერთი მწერალი კომუნისტიერს ვერაგს ეძახის და ეს ამბობს, რომ ოვენის კომუნა იმას გვასწავლის, რომ ერთმა სასტიკად იმუშავოს, მეორე-კი ზარმაცობდეს და ეს ზარმაცი მშრომელი პირის ნაღვაწით სცხოვრებდეს და სტკბებოდესო. ეს პირი ოვენის სუფველა კოოპერატიულს ამსანაგობას წმინდა კომუნისტიერს მიმართვას აძლევდა. ეს ამბობს: ოვენის სწავლის მეოსებით ეს მოგონილი ამსანაგობანი დიდსანს ვერ იცოცხლეებდნენო, რადგანაც მშრომელ მუშას ერთობ მალე მობეზრდებოდა ის, რომ მას თავის შრომით ზარმაცი მუშა ერჩინაო. ამის მაყურებელი მუშა ყოველთვის ვერ მოითმენდა, ამას მალე აუტრუკდებოდა გული, მის გამო აქედან მალეც გავიდოდა და ამის ჭეოსებით ეს ამსანაგობაც მალე დაიშლებოდა, როგორც დაიშალა კიდეცაო. ესევე პირი ამბობს, რომ მე ოვენს მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთის კომუნისტის ფურიეს ჭაბრაკენების წარმომადგენლად და განმასორციელებლად ვსთვლიო, რადგანაც მასში უცხო არაფერიაო, მაგრამ ეს არ არის ჭეშმარიტი განსჭვრეტა. მეორე ბურჟუაზელი მწერალიც ბრძანებს, რომ ოვენის დაწყობილი საქმე საფ-

რანგეთის რევოლიუციის შედეგის დასკვნა. როგორც უნდა იყოს და რასაც უნდა იყოს, მაინც ოვენი არ არის ყიცხვა გმობის ღირსი, როგორც ჭიცხავენ მრავალნი.

ოვენმა თავის ბევრნაირს სასიკეთო მსარეებთან მუშებში ისიც დაარსა, რომ ეს ვისმე მუშას რამე დანაშაულობის გამო ჯარიმის გარდახდით, ან სხვა რამით არ სჯიდა. ამისთვის იგი სმარობდა თავის პატიოსნურს დარიგებას, ეს ყოველთვის იმას ეუბნებოდა მუშებს, რომ ქარხნის საქმე და საქმის კარგათ გამოყვანის ხარისხი თქვენზედ არის დამოკიდებული, რამდენსაც თქვენ იმეცადინებთ, რომ გულს მოდგინედ იმუშაოთ, საქონელი ბევრი გამოიყვანოთ და მასთანვე კარგიი, ეს რამდენად ჩვენთვის იქნება სახეირო, იმდენავე თქვენთვისაც. ამითი ქარხნის საქმე წინწაიწევს და თქვენ ხელფასიც მოიმატებსო. ამ საქმეების გამო ქარხანაში მუშაობის დროს გამგეობა სრულიად მუშებს დაულოცა და ესენი დამოუკიდებლივ განაგებდნენ თავიანთ მუშაობის დროს. ასეთი მაგალითები სხვა ქარხანებში სხვა მექარხნეთაგან ერთობ იშვიათი იყო და ამ იშვიათობის გარდა ესენი მუშებს ისე ეპყრობოდნენ, როგორც სახერხავ მაშინას, ამათ არაფრის შებრალება არ ჭქონდათ და ყოველ უბრალო დროის მოცდენის გულისთვისაც-კი ფულს ურიცხავდნენ, თავზე ადგნენ და სულ ჭაცე, ჭაცეს ეძახდნენ, თითქოს პირუტყვები არიანო. ამ დროს მუშების მდგომარეობა სრულს მონებას წარმოადგენდა. მუშებმა რა დაინახეს ოვენის ასეთი კაცური და ალმატებული შესედულობა და მოქმედება, რომ მხნ ეს მუშები სრულს თავისუფალ მუშებად გასადა თავიანთ მუშაობის დროს, ამიტომ ამათაც მეტის-მეტი სინიდისიერად დაიწყეს მუშაობა და ყოველთვის იმას მეცადინეობდნენ, რომ ნამუშევარიც კარგად და ჩინებულად გამოეყვანათ. ამითა, ხომ მუშებმა ერთობ ესახელეს თავიანთი თავი. ოვენის ეს სასახელო საქმე იმ დროის მრავალ მდიდარ ფაბრიკანტებისთვისაც ამაოდ გახდა,

რომელნიც გაკვირვებულნი იყვნენ მუშების ასეთ საქციელის გამო. ყველა მუშა იმას მეცადინეობდა, რომ თავის კეთილი და სინდისიერ მექარხნის წინაშე პირნათლად გამოსულიყო, ამისაგან ქება მიეღო და არა საყვედური. ეს იმიტომ, რადგანაც ესენი ამ პირში ნამდვილს პატიოსნურს განზრახულებებს ჭსედავდნენ, ყველა მუშებს თავიანთგან კარგათ გამოყვანილს ნაწარმოების სამადლობელოს მაგიერ საჩუქარს გარდა ერთსაირი ნიშნებიც ეძლეოდათ. ოკუნმა გააკეთებინა ოთხი თეცრის ნაჭერი. ერთი თეცარი იყო თეთრი, რომელიც ნიშნავდა, რომ საქმე კარგი არისო, მეორე ყვითელი, ეს ნიშნავდა, რომ საკმარისად კარგიაო, მესამე ლურჯი, ნიშნავდა საშვალოსა და მეოთხე-შავი, ნიშნავდა ცუდს, ეს თეცრები ეძლეოდათ იმ პირებს, ვინც როგორი ხარისხის საქმესაც გააკეთებდა, დობროლიუბოვი ამბობს, რომ ძნელად, რომ ამ მუშებში კაცს ლურჯი ან შავი თეცარი ენახა ვისმესო, ყოველი მუშა იმას მეცადინეობდა, რომ იმას ცუდი არ მიეღოვო. ამაებს გამო ოგინი ერთმანერთს ეჯიბრებოდნენ თურმე, ვინც უხეიროდ იცოდა ხელოსნობა, ამით ისინიც-კი ხეირიანად სწავლობდნენ, ვინც ცუდლუტობას და ლაპარაკს იყო დაჩვეული, ისიც ისე მუშაობდა, რომ მისი გულის ყურის უმთავრესი დრო მხოლოდ საქმის კარგად წაყვანაზე იყო მიმართული, ასე და ამისთანა საქმით ბევრი უხეირო ხელოსანი გაიწურთვნა და გადაკეთდა ხეირიანს ოსტატად. გარდა ამისა, ამათ ხელიდამ ეცლებოდათ ის სალაპარაკო დროც, როცა ისინი ერთმანერთში გვარტობობის და სჯულის განსხვავების გამო ხშირად უსიამოვნებასაც სტეხავდნენ, ესენი დაიწყებდნენ ლაპარაკს ხან სჯულზე, ხან გვარტობაზე და ამით იქამდის მიაღწევდნენ, რომ ბოლოს ჩხუბსა და ეი ვაგლახებსაც სტეხავდნენ ერთმანერთის წინაღმდეგ, აქ ხშირად მთელი ოჯახი სძულდებოდა მეორე ოჯახს საწმუნოების და გვარის სხვაობის ლაპარაკის გამო. ამის მეოხებით რამდენი უსიამოვნება მომხდარა,

ჩხუბი და ვაი-ვაგლახები, ამას ვინ მოსთვლის, ეს სწორედ ისე, როგორც ჩვენშია დღეს, რომ ქართველ და სომხის სარწმუნოების მუშები და სელოსნები ხშირად ებრძვიან ერთმანერთს, რომ არა ჩვენ კარგნი ვართ და არა თქვენა. ამ მხრით ჩვენმა სელოსნებმა იმ უხეირობამდისაც-კი მიიღწიეს თავიანთ საკარცხვინოთ, რომ ამქარის შეგირდების დალოცვის დროს ქართველ-სომეხ შეგირდებს ცალკე არჩევენ და ცალკ-ცალკე აყენებენ, ეს წინეთ-კი ასე არ იყო. ოვენმა მუშების ხასიათი კარგად იცოდა, მას ესენი აწონილი ჰყვანდა და ამიტომ ოვენი მათს არც ერთს მსჯელობასა და ლაპარაკში მონაწილეობას არ იღებდა. ამან მუშებში ისე დააყენა თავის საქმე, რომ მისთვის სულ ერთი იყო, ერთ ქარხანაში გინდ ოცი სხვა და სხვა სარწმუნოების და გვარის მუშები რომ ყოფილიყვნენ, ეს ყველას ერთნაირად უცქერდა. ყველა ერთად მიაჩნდა, მისის სარწმუნოების და გვარის იყო, თუ სხვა სარწმუნოების და გვარის, ეს მისთვის ორივ ერთი იყო. ოვენის ასეთმა ინდიფერენტიულმა მსჯელებმა მუშებზე ერთობ კარგად იმოქმედა და ამათში ცოტა არ იყოს, სჯულის და გვარის შესახებ ჩხუბებმა და შეოთებმა კლება დაიწყო. მაგრ სრულიად მოისპო ეს მათში და ბოლოს ესესი მისცდნენ, რომ წამდაუწუმ სარწმუნოების და გვარის ჩხუბებიდგან არა გამოდიოდა რა, რომ იგინი ყველა შრომის შვილები იყვნენ და ამიტომ მათ არ ეკუთვნოდათ და შეჰსვეროდათ ის, რომ წამ და უწუმ ჩხუბები ჰქონიყოთ გამართული, რომ მე კათოლიკის სჯულის ვარ და შენ ლიუტერანისა, მე სხვა ტომის ვარ და შენ სხვა, ოვენის საშვალებით ამათ გაიგეს ამის მნიშვნელობა და ამიტომაც მათ თავიანთ პირველს დღიდამვე დაიწყეს დამეგობრება, ძმობა და ერთად და მშვიდობიანად ყოფნა. ამ მოსაზრებამ მუშებში ჩააგდო მტკიცე ძმური სიყვარული. მათში საძულამოდ მოისპო ასეთი რამეების შესახებ საუბარი და სიძულვილი.

ზოგიერთი მწერლები ოვენის შესახებ ამბობენ, რომ მას ბევრს თავის მაძაშვილურს დარიგებასთან ბევრი უხეირო რამეებიც ჰქონდა შეტანილი, მაგალითად: ერთი მწერალი ამბობს, რომ ოვენი დამნაშავების დასასჯელად საგიუეში გაგზავნას და წამლობას სთვლიდა საჭირო, მაგრამ ჩვენ ამას ვერ დავეთანხმენებით, რადგანაც ამის შესახებ ეფეიფერი სხვას სწერს, ეს ამბობს ამ საბრალო ბირებთათვის უნდა გაიმართოს საავადმყოფო, რადგანაც ესენი ზნეობით არიან ავათო, ამავე დროს უმთავრესი ყურადღება წამლობის გარეშე მათ აღზრდაზე უნდა იყოს მიმართული. მაგრამ ვინ არ ეძდურის ამ ბირს! თვით გამოჩენილი ვებერიც-კი ასე ათვალწუნებით ეხება ოვენს და ოვენის მოძღვრებას წმინდა კომუნისტიურს მიმართვას სწერს და ასევე უწოდებს, რომ «კომუნისტი ოვენი» ვებერი ისე უმზერს ოვენის საქმეებს, რომ თითქოს ეს კომუნისტობა ავაზაკობას წარმოადგენდეს!!. ეს ამბობს, რომ ოვენის ჭაზრით ყველანი ერთად უნდა შაერთდენო, რომელ შეერთებითაც მათი ჭერმო საკუთრება ისპობა და ყველაფერს თანასწორად იყოფენო. ოვენის ასეთ მიმართვას ვებერი ერთობ ცუდად უცქერის. ეფეიფერი სწერს, რომ ტომას მიუნცერიც თსოულობდა იმას, რომ ყველაფერი ქონება ხალხში თანასწორად გაეყოთ, მაგრამ ეს როდი აღნიშნავს იმას, რომ ვითომც ტომას მიუნცერი კომუნისტი ყოფილიყოს. მას სულ არ ჰქონია ის ჭაზრები სასეში და იმ მიზნით შეცვლა, როგორც დღეს თქვრობენ მრავალნი. სხვები ამბობენ, რომ გინა ამის გამო ჩვენ უფლება გვაქვს, რომ ოვენის ჭაზრებს კომუნისტიური მიმართვა მივწეროთ და ისიც ისე, როგორც დღეს არსებობსო, რომ ხშირად სოციალურის ცოდნით საკუთ კომუნისტი უკიდურესი კოსმოპოლიტიც არისო და მასთანავე ნიგლისტიცო. ბელგიის ისტორიკის-უკნობოსტის ემილ დე ლაველის თქმით, რამდენი თვით საეკლესიო მამებიც თსოულობდნენ ერთმანეთის სიყვარულს და თანასწორობას,

მაშ შეიძლება, რომ ეს წმიდა მამებიც ჩვენ კომუნისტებათ ვიწამოთ. რა შესაწუნარისი იქნება ეს, თუმცა ისიც-კი უნდა ითქვას, რომ ოვენის დედა ბაზრების მიმართვა-კი ჰირდაპირ კომუნისაკენ მიემგზავრებიან და მართლაცა და ოვენის აბსოლუტური თანასწორება სრულს სოციალურს კომუნისტიურს მოძღვრებას წარმოადგენს. ამას ბეგეიფერიც ასევე ეხება.

მუშებმა თავიანთ დამეგობრების და ძმურის სიყვარულით ისეთი სიმედო ნიშნები აღმოუჩინეს ოვენს, რაის მეოხებითაც მუშების შესახებ ამ ფილანტროპმა გაიფიქრა ის, რომ ეხლა-კი დამეგობრდნენ ესენიო, ამიტომ მე რომ ამათ შვილებისათვის სასწავლებელი გავხსნა, ესენი თავიანთ შვილებს სიამოვნებით და სარწმუნოების და გვარტომობის სიძულვილის უზიზღოდ მოათავსებენო, რობერტ ოვენმა გახსნა სასწავლებელიც. როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, მუშა ხალხის შვილებს ამ დროს სულ არ ჰქონდათ გზა სწავლისთვის, ამათ თავიანთ მშობლები შვიდის რვა წლიდამ უკვე ქარხნებში მიერეკებოდნენ და აქ ესენი სწავლობდნენ იმას, რასაც გარეკნილი ქარგლები და სხვა დიდრონი შეგირდები ადგნენ, გარეკნილობას, შეუპოვრობას, ქიშპობას და სხვა ამისთანაებს. პირველ ხანებში მუშებისაგან ამ უმაწვილების მოცლა ადვილი არ იყო, რადგანაც მუშა ხალხი თავის ერთ გროშის სარგებლობის მიმცემ შვილს ადვილად ვერ შეელეოდა, რომ ამით შემდეგში მის შვილს ესარგებლნა და თავის მამასავებ არ ეწვალნა. აქაც ოვენი თავისებურად მოიქცა, მუშა ხალხს დაუმტკიცა ის, რომ მათთვის მათ შვილების ერთობ ადრე ქარხანაში საშუშად მიყვანა იყო თვით მათივე ზარალი და უმაწვილების დალუპვა, გააგებინა, რომ მცირე წლოვან ბაშვისთვის მთელი დღე მუშაობა და ისიც მძიმე საქმეში და ძალდატანებით სწორედ რომ უპატიური დანაშაურობა არისო. როგორც იქმნა ოვენმა მოახერხა უმაწვილების სასწავლებელში შეგროვება, ამ დროს საერო სასწავლებლების

სასწავლო საქმეები ერთობ ცუდ გზაზე იყო დაყენებული, ბავშვების ზნე სასიათებიც ისე იყო მოწვრთნილი და გაფუჭებული, რომ ყოველს უბრალო საქმეზე კაცი აქ ცხვირპირის მტვრევის და ცემა ტყეპის გარდა სხვას ვერას ნახავდა, რაის გამოც აქ შეგირდების ზოგს სჯიდნენ, ზოგს ასაჩუქრებდნენ, რაც უფრო სძრავდა მათში ერთმანერთზე დაუძინებელს მტრობას. ოვენმა რა იცოდა სკოლების ასეთ მდგომარეობა, მან თავის სკოლის საქმე სულ სხვანაირად დააყენა. ამან შეგირდების შეგროვების პირველ დღიდამ დასჯაც მოსპო, საჩუქარიც და სხვებიც. სწავლის ყოველი საქმის მეცადინეობა თვით უმაწვილებზე იყო დამოკიდებული და ვინც-კი ამათში დააშავებდა რამეს, იმას თვით უმაწვილებივე სჯიდნენ, ესენი ასამართლებდნენ მას, ამ საქმეში ოვენი და მასწავლებლები სულ არ ერეოდნენ, ამით ისე წავიდა ამ სასწავლებლის საქმე, რომ მასში ყველა მოწაფეები საკურველად მალე გაიწრთვნენ და მათში არც ერთი ცუდი რამ არა სდებოდა, როცა სხვა სასწავლებლის შეგირდებში ეს ყოველს წუთზე სდებოდა ხოლმე. ეს სულ იმის ბრალი უნდა იყოს, რომ ოვენი შეგირდებს მამასავით ეპყრობოდა. ამის ოსტატობის მოხერხებით ისე იყო ამ სკოლის საქმე მომართული, რომ აქ ერთი ბეწო უმაწვილები მოსამზადებელ კლასებში ოცი წერა-კითხვას სწავლობდნენ და ეჩვევოდნენ. უფროს კლასებში სწავლიდნენ წერა-კითხვას, არითმეტიკას (**Висшія правила счисленія**), მეხანიკას, ფიზიკას, გეომეტრიას, ბუნების მეცნიერებას, პირუტყვების ცხოვრების გეოგრაფიას, მცენარეების მოკვლის შესწავლას იგინი სწავლობდნენ თავიანთ მოგზაურობის დროს, როცა მინდვრად, ან ბაღში დადიოდნენ, რადგანაც მცენარეების თვალ და თვალ შეხედვა უფრო ეხმარებოდა ბავშვს გონებითი განვითარებაში. პატარა ქალებს-კი ყველა ამაებს არ ასწავლიდნენ, ზოგიერთ საგნების შეცვლის მაგიერ მათ ასწავლიდნენ ჭრას, კერვას, ქსოვას და ქარგვას, ოვენის სას-

წავლებელში რადგანაც სხვა და სხვა საწყმუნოების, სექტების ყმაწვილები სწავლობდნენ, ამიტომ მან აქ საღმრთო სჯულის სწავლებას გვერდს აუარა. ამის შესახებ არაფერს ასწავლიდა, ამან თავის საქმის სიმტკიცის გამო ამ სწავლების შესახებ სულ უარი განაცხადა, რომ ეს ჩემი საქმე არარის, ამის შესახებ სწავლებაზე თვით ყმაწვილების მშობლებისთვის მიმინდვია. ამით ოვენმა ორნაირად ისარგებლა და ბავშვებსაც ასარგებლა, რადგანაც ამ ბატარა ყმაწვილების სწავლის დროს საღმრთო სწავლის დრო სხვა რამე საგნის შესწავლას ხმარდებოდა, გარდა ამისა ოვენმა იცოდა, რომ ეს ბავშვები თვნასტიკი დედამიის შვილები იყვნენ და ამათ ყველას თავიანთ სჯულზე მოუნდებოდათ სწავლა, რაც ერთობ ძვირათაც დაჯდებოდა და ბავშვების თავშიაც ერთმანერთისაგან სხვა და სხვაობის შესახებ თვნასტიკობას აღძრავდა. ამიტომაც იყო, რომ ოვენმა ეს მკვდარი უსიცოცხლო რამეების სწავლა იქით მიაგდო და ამით მან თავისი საქმე ერთი ათად წის წასწია. ყმაწვილების მშობლებს უთხრა, რომ საღმრთო ისტორიას თქვენ ასწავლეთ ისე, როგორც თქვენ გინდოდეთ და თქვენს ნებას ესურვილებოდა, ამის შესახებ სწავლას სასლში უფრო კარგად შეიძლებოდა, აქ ყმაწვილები სწავლას ათს წლამდის უკვე ათავებდნენ. ამ ხნის განმავლობამდის იგინი ბევრნაირ ცოდნას სწავლობდნენ და ზოგიერთ საგნებიც შესახებ ნათელს შესედულობასაც იძენდნენ. აქ ათს წლამდის მიტომ ათავებდნენ ესენი სწავლას, რადგანაც მას შემდეგ იგინი ქარხანაში უნდა შესულიყვნენ და მუშაობა უნდა დაეწყოთ. ოვენის ასეთმა მეოხებამ ბევრი საწყალი კაცის შვილი აცილა ათას ნაირს უბედურს მომავალს და გარეგნილებას. რაკი ყმაწვილები ათს წლამდის საკმარის ცოდნას იძენდნენ, მიტომ იგინი ქარხნებში შეგირდობის ოთხის დროსაც წაკითხვას მისდევდნენ, გასვითარებას და ესენი არა ჭყვებოდნენ იქ მუოთ გარეგნილ და გათეშებულ მუშა ქარგლებს და უფრო შეგირდებს,

ნაცვლად ამისა ესენი თავისკენ იზიდავდნენ ბევრს გაფუჭებულს პირსაც და ესენი თავიანთის მაგალითით მათშიაც სძრავდნენ სწავლის სიყვარულს და ესეთ მიდრეკილებას. უნდა ითქვას, რომ ამ პირთა საშვალებით ინგლისში შემდეგ დროებაში ბრაგალი ისეთი მუშა კაცები გამოვიდნენ, რომელთაც თავიანთ მეცადინეობით და სწავლა განათლებით ბევრნაირი ცოდნაც შეიძინეს და იგინი სშირად თავიანთ უფლების დასაცველად გამოჩენილს და სასელოვანს პოლიტიკურს მოწინააღმდეგე მოღვაწეთაც ასასელეს თავიანთ სასელი. ესენი სდებოდნენ საძაგალითო კაცები, გამოჩენილი მოღვაწეები და ყველა ამ პირების დაბადების და შექმნის მიზეზი იყო ოვენის კეთილი საქმეების დასაწყისი, რომლის მსგავსი კატობრიობის ცხოვრებაში ერთობ მცირეა. ამ ხნის განმავლობაში ოვენი საკმარისად დასელოვნდა, როგორც ვაჭრობის მხრით, ისეეე სწავლა განათლებით, დიდი სასელი შეიძინა, დიდი მტრებიც, მაგრამ მისი კაი კატობის ამბები მთელს დედა-მიწის ზურგზე მოიფინა, ინგლისში, ფრანციაში, გერმანიაში, რუსეთში და სხვაგან, ოვენის ასეთ პატივსადებ სასელის მოფენას ერთი ის უფრო ეხმარებოდა, რომ ეს სხვა მეჭარხნეებს ჯიბრში ჩაუდგა და კრიჭას უკრავდა, როცა-კი რამე საქონელი გაძვირდებოდა და მაზანდა აიწევდა, მაშინ ეს თავის ნაწარმოების მსყიდველებს ატყობინებდა, რომ ესლა მაზანდა აწეულია, თუ გნებავთ ცოტა მოიცადეთ და ამა და ამ დროს იგი გაიაფდებაო. აქ ოვენი ყოველთვის მუშტრის მხარეს იჭერდა. ამის გამო მან გადაიკიდა და გადიმტერა ძალიან ბევრ მეჭარხნეები და ეს მეჭარხნეები მასზე ისე აღელდნენ, რომ მათ მის წინააღმდეგ ლაპარაკიც დაიწყეს, რომ ოვენი აი ესლა გაკოტრდება და აი ესლაო, მაგრამ ორა 1795 წლების შემდეგ მან უფრო გამდიდრება დაიწყო და რაკი ამ ხანში მან ცოლიც შეირთა (1797 წ.) მიტომ მისმა სიმდიდრემ მაღე მილიონამდისაც მიაღწია. ამ დროს-კი სუყველა მისი ამხანაგები დარწმუნდნენ იმაში, რომ

ოგენის შრომა და მეცადინეობა არ იყო უბრალო და უმნიშვნელო, ოგენის ასეთი მოქმედება როგორც თვით ოგენის და მის ამხანაგებისთვის იყო კარგი, ისევე მყიდველთ და მომუშავეთათვისაც. ოგენმა თავის ასეთის მოქმედებით ერთობ უმალლეს ხარისხამდის მიიყვანა მუშების საქმე. ერთის ისტორიკოსის თქმით, ამ პატივცემულმა კაცმა თავის დაუღალავის და კეთილგანძრახულებითი ბედნიერების ცნობანი, მაგრამ მისდა მუშების საუბედურად იმავე დროს ჩნდებოდა ბევრი ისეთი რამეებიც, რაც მუშებს სასტიკ კამათობას უწევდა. წარსულს საუკუნეში, ინგლიაში შემოიღეს სხვა და სხვა სამუშაო მაშინები, ამ მაშინების შემოღებამ იმ დროის მუშების საქმე ერთობ დასცა ძირს, მაგალითად, ხერხის მაშინამ სულ მიწაზე გაასწორა მხერხავების საქმე და ასევე სხვა და სხვა მაშინებმა სხვა და სხვა ხელობის საქმე. მექარხნეები მუშებს კრიზაში ჩაუდგნენ და დაიწყეს მუშების წინააღმდეგ მოქმედება. რომელ მექარხნეებსაც-კი მცირე შეძლება ჰქონდა, ისიც-კი მაშინას ეძებდა, ამუშავებდა მაშინას, მაშინაზე სამუშაოდ სტოვებდა სამს პირს და დანარჩენს-კი ითხოვდა ქარხნიდამ, რომ თქვენ ჩემთვის საჭირონი არა ხართო.

მექარხნეების ასეთ ოსტატობამ მუშა ხალხი ერთობ შეაწუხა. ცუდად მოსიარულე მუშა ხალხი ლონდონის ქუჩებში ერთობ მრავლდებოდა და სშირად აქ ერთი ხელობის კაცი მეორე ხელობის საქმეს ჰკიდებდა ხელს, მაგრამ საქმის უცოდინრობა მათ უბრალო თვასს აძლევდა მისთვის. აქ, ამ დროს ზოგის ხელობის მუშებისთვის ისეთი დრო დადგა, რომ თუ იგინი მექარხნის ქარხანაში ისე იმუშავებდნენ, როგორც მაშინა მუშაობდა, ამათ მსოლოდ მაშინ დაიჭერდნენ და იმ თვასს მისცემდნენ, რაც მაშინაში გამოყვანილი საქმე დაჯდებოდა, თუ არა და მათ ერავის არსად შეუშვებდათ, რადგანაც იმ თვასად მუშაობა, რო-

გორც მუშებს უნდოდათ ეს მექარხნეებს სულს არ მისცემდა. ერთის სიტყვით მექარხნეებმა მუშებს სასტიკს ბრძოლაში ჩაუდგნენ და ესენი ამბობდნენ: ჯანდაბას მაგათი თავი და საქმე, თუ გაჭირებისაგან სრულიაც ამოწყდებიანო. ჩვენ მათთან რა საქმე გვაქვსნებაო. ასეთის შეუბრალებლის მსარეებით მუშა სალხის საქმე ერთობ დაეცა. მოსიარულე მუშების რიცხვი უფრო მრავლდებოდა და შველა-კი არსაიდამ ეძლეოდათ. მუშა სალხის ასეთ სამწუხარო მდგომარეობამ მუშებში დაჭბადა მდიდარი ბირების და მექარხნეების მტრობა და ესენი ამ ბირებს ყოველს ნაბიჯზე მტრობდნენ და სძაგდათ სასტიკად. ცოტა არ იყოს, მექარხნეები შეეიქრდნენ ამაზედ და სთქვეს, რომ ჩვენმა ასეთმა ჯიბრში ჩადგომამ ნეტა ბოლოს ცუდი არაფერი დაჭბადოს ამ სალხისაგან და ერთ დროს სულაც არ აგვიკლონო. ამიტომ ეს ბირები მეცადინეობდნენ და უნდოდათ შემოეღოთ მუშების მოსატეუბლად იმისთანა ვითომაც და დახმარების წესები, რაც მუშებს ამათ აკლებ-დაკლება ანიავებას თავიდამ აცდენდა. ამ შეძლებულმა სალხმა მეტის მეტად შეუბრალებლად და უწყალოდ იმოქმედა დაბალ სალხის წინააღმდეგ და ამათის უკანონო საშვალების მეოხებით, რამდენ ალაგას რამდენი ღარიბი კაცი აღიგავა დედა მიწის ბირიდამ, რამდენი დაეცა თავის წვრილ-შვილით, რამდენი გალატაკდა და გაგლახავდა, რამდენმა გამოსცადა მეტად მწარე და გამოუცდელი მწუხარებანი, უმაწვილების სიშიშვლე, შიმშილი, სიცივე და სხვანი, ამას კაცი თავის დღეში ვერ წარმოიდგენს, ვიდრე ის თავის თვალით არ ნახავსო, ამბობს ფლეროვსკი. ყველა ეს უბედურება და საცოდავობა ხდებოდა ისეთ გაიძვერა მდიდარ ბირებისაგან, რომლებიც დაბალ მუშა დატაკ სალხს ისე უმზერდნენ, როგორთაც უსულო რამ მოძულებულ არსებას. ეს ბირნი ისე სთვლიდნე ამ ბირებს, რომ თითქოს ესენი-კი ადამიანის შვილები არიყვნენ და ამათი ცხოვრება და სიკეთე იმავე სიამოვ-

ნებას არ მოითხოვს და აიტანსო, რომელშიაც ეს ქვეყნის მტანჯველნი და მჩაგვრელნი ბრძანდებიანო.

უნდა გსთქვათ, რომ ამ ქვეყნის მტვირთველ მექარხნეებს გარდა თვით ინგლისის არისტოკრატებსაც-კი ეშინოდათ მუშების, რომ ინგლიაშიაც არ მოხდეს ის ამბები, რაც საფრანგეთში იაკობინელთა და სხვა წრის პირებისაგან ხდებოდა. არისტოკრატია გადაეკიდა ბურჟუაზიასა და ესენი ერთმანერთს საკმარისად მტრობდნენ. ესენი ერთმანერთს მიტომ უფრო მტრობდნენ, რადგანაც ადგილ მამულის მქონე არისტოკრატია ეცემოდა და ამათი მამულები სულ ქალაქ ალაგის მცხოვრებ ლორდ ბურჟუაზიის ხელში გადადიოდა. ამ საქმეებმა ისეთი ძალა მიიღო, რაის მეოხებით 1830 წლები კაპიტალიზმის აღორძინების საუკუნედ აღნიშნეს. (ლავრ). ყველა ამ პირთა უბედურების და შიშის მიზეზად საფრანგეთის ერის მდგომარეობა ხდებოდა, რომ აქაც არ განმეორდეს ის პოლიტიკური ტენდენცები, რაც იქ XVIII საუკ. მოხდაო. მაგრამ ესენი ერთობ მალე იმაშიაც დარწმუნდნენ, რომ სალხის შიში არ უნდა გვქონდესო, რადგანაც მათში სასტიკად საფრთხილო პირები სულ არ ურევიანო. ამ დროს ოვენმა უკვე წარადგინა სასელმწიფოში თავის პლანი შესახებ მუშა სალხის მდგომარეობის გაუმჯობესობისა. ამ პლანში ოვენი არაფერს საფრთხილო მიმართულებას არ ადგას, ამის პლანში რამე კომუნისტიურს მოსაზრებას ადგილი სულ არა აქვს. ოვენის მსარე ბევრმა სასელმწიფო დიდრონმა პირებმა დაიჭირეს და ამათ დიდათ სურდათ, რომ ოვენს თავის ჭაზრის შესრულებისათვის მიეღწია, თუმცა ზოგიერთებს ერთის მსრით ერიდებოდათ კიდეც. ამ უმაღლესი პირების ჭაზრით ოვენის ყოველი მოქმედება და მუშაობა წმინდა მამაშვილურს დარიგებას შეეცავს და მუშებიც მის შვილები არიანო. იმ დროს, როცა ოვენი ბერძო წუწკ მდიდარ მექარხნეებისაგან მეტად გაჯავრებული იყო. ამავე დროს იგი ერთობ აღელვეს იმ დროის

ზოგიერთ ფილოსტერულის ფილოსოფიის მიმდევარ პირებმა, რომელთა მსჯელობაც შეიძლება რომ მუშების წინააღმდეგ ეს-მეველტად ჩაითვალოს, რადგანაც მუშა ხალხს დაიმათ გამწურთვნის მხარეებს ისე ეხებოდნენ ეს პირნი, რომლის მსგავსად მსჯელობა არც ერთ პატიოსანს პირს არ ეპატიება. ამიტომ ოვენმა განიძრახა საქვეყნოდ წერა და იმ ჭაზრების დამტკიცება, რაც მას თვის მუშებში გაჭუვანდა. 1812 წ. ამან დაბეჭდა თავის პირველი თხზულება, «კაცის ხასიათის გადაკეთებაზედ» ამ თხზულებაში ოვენი საკმარისად, კარგად ლაპარაკობს კაცის თვისებაზე, მის გარემოსაზღვრულს მყოფს ბუნების წესებზე, კაცის ხასიათის გარდაკეთებაზედ ამ თხზულებაში ოვენი არც ერთ ცუდი მხრის ჯერ მუშა კაცს სულ არ ამტყუნებს, ამ ცუდის ჩასადენს მიზეზად იგი სულ სხვა მიზეზებს სთვლის, რომლებიც მუშებს გარს ახვევიათო, მოსპეთ ეს ცუდი მსარეები და მაშინ მუშა ხალხში ესენიც მოისპობა თავის თავათო. სიცუდეს თავის მიზეზები აქვსო. ამ ხნიდამ ოვენმა მწერლობის საქმეს უფრო გულს მოდგინებით მოჭიდა ხელი და ის დაუცხრომლად მოღვაწეობდა მწერლობაშიაც, რომ მწერლობის საშვალებითაც ექადაგნა თავისი სწავლა მოძღვრება. შემდეგ დროებში მან დასწერა ძალიან ბევრი წერილები, რომლებშიაც თავის ჭაზრები გაჭუვანდა, ამ წერილების უმეტეს ნაწილს იგი უფასოდ ურიგებდა ხალხს. შემდეგ ამის შრომათ ჩაითვლებიან ესენი: **Опытъ объ образованіи человѣческаго характера.**«—, **книга новаго нравственнаго міра.**»და—**Въ «манчестерскихъ чтеніяхъ»** არის მსჯელობა თეოლოგიურის მხარეების შესახებ, სადაც ოვენი მკაცრს პოლემიკას უწევს ერთს იმ დროის თეოლოგიურს სწავლის მიმდევარს მწერალს რობაკს, რომლის დედა ჭაზრებს სარწმუნოებრივი კითხვების გამო ერთობ სასტიკად ეხება. ოვენს ბევრ ნაირი ბრძოლა უნდებოდა თავის ჭაზრების გამო და ისიც ერთობ ბევრ ნაირს დასის ხალხთანაც.

ამ დროს ინგლიის უმაღლეს სამართველოში და გარეშეც იყვნენ თითო ოროლა ისეთი პირებიც, რომელნიც ოვენის განძრახულს საქმეს იმ სახით და მიმართულებით არ უმზერდნენ, როგორც სხვები, რასაც ოვენი სიტყვით ამბობდა, ეს თავის ნაწერებშიაც იმას ლაპარაკობს და ყველგან თავის დედა ჭაზრებს იცავს, რაის გამო მას ზოგი უკიდურეს კომუნისტობას სწამებდა, ზოგი სოციალისტობას და ზოგიც ვინიცის რასა, ზოგნი კი სხვას ფიქრობდნენ და ეს პირები ოვენის საქმეებს სულ სხვანაირად უმზერდნენ, რადგანაც ესენი ფიქრობდნენ, რომ ოვენი მუშებს თავიანთ შრომით ცხოვრებას აჩვენო, მასთანვე ზნეობით, გონებით გახსნას და მშვიდობიანად ყოფნასო. ჩვენც ამაზე მეტი სხვა რა გვინდა, რომ მუშები მშვიდობიანად და მორჩილებით იყვნენ ჩვენ წინა, მაგრამ მის გარჩევაში-კი არ შედიოდნენ, რომ მუშების ასეთ მორჩილებით ყოფნისთვის პატარა თვითაც უნდა შეწუხებულიყვნენ და მუშა ხალხის მდგომარეობისთვის რამით უნდა დახმარებიყვნენ. ესენი ამაებს არ ეფიქრობდნენ და ოვენს უყურებდნენ, როგორც შემძლე და მოსერხებულს ორგანიზატორს მუშებისას, რომლისაგანაც სურდათ, რომ თვითაც შეესწავლათ ეს ოსტატობა და მოხერხება. ამის გამო ოვენის გაცნობა და ნახვა ძრიელ უნდოდა გერცოგ კენტსკის, იმ დროის კაროლის ძმას. ეს რამდენიმეჯერ ოვენისაგან მომხდარს მუშების კრებასაც დაესწრო, სადაც მოისმინა ოვენისაგან ბევრი რამ წარმოთქმული სიტყვები. ასე და ამ გვარად ოვენის ჭაზრების პატივის მცემლად მოიძებნებოდნენ ისეთი პირებიც, რომელთაც იმ დროის სამეფო გაძგეობაშიაც ერთობ დიდი ადგილები ეკავათ. ამ ხანების შემდეგიდამ ევროპაში მაშინებისა და სტანოკების საქმე ერთობ წინ წავიდა და მის გამო ერთობ უწყალოდ დაეცა მრავალი მუშა ხალხი, ესენი მეტის მეტ საცოდავ მდგომარეო-

ბაში ჩავარდნენ, ყოველ წლობით, ეს მატულობდა და იმისაგან იბადებოდა და ვრცელდებოდა ის ბოგანო ერი, რომელსაც იქნებურად «პროლეტარიას» უწოდებენ. ამ პროლეტარიის საქმე ისე მიდიოდა წინ, რომ იგი ყოველ წლისთვის მატულობდა; ამ უბედურების ყოფნა სწორედ რომ შესაბრალისი იყო, ნამეტურ ზამთარში, ყინვაში, სიცივეში, როცა ამათ თავის შესაფარებელიც არ ჰქონდათ, მაშინ ესენი, ვინიცის, სად არ ეყარნენ და რამდენ ალაგას სიცივეში არ იყინებოდნენ და ეიჩხდებოდნენ. ამ საშუალარო შემთხვევების დროს მთელს ანგლიაში მარტო ოვენის ქარხანა რას იზამდა, ამიტომ ოვენი მიეცა იმის შესაბამ მეცადინეობას და განსაზღვრას, თუ ამ საწყლებს რა გზით და რა საშვალებით დახმარებოდნენ. ამ დროს ოვენმა თავის მოსაზრების ორი ადრესი შეადგინა. ერთი წარუდგინა ესენის სასულმწიფო კონგრესს, სადაც მრავალი სულმწიფეები იყვნენ შეკრებილნი, და ერთი ადრესიც მთელი ევროპის სასულმწიფოებს წარუდგინა, ეს ამ ბლანში მოავრობას ბევრს რამ სასიკეთო და სამადლობელო მხარეებს უჩვენებდა, რომ ესენი ამ სახით და იმ გზით დახმარებიყვნენ მუშებს და მათთვის შეედგინათ ბევრნაირი ასოციაციები, მაგრამ ოვენის ეს ჰაზრი და თხოვნა ასეთის უმაღლესმა კონგრესმა უყურადღებოდ დასტოვა, რადგანაც იმ დროის სახულმწიფო კონგრეს ძალიან ბევრი საქმეები ჰქონდა, ესენი გართული და დაბანდებული იყვნენ სამეფოს უმაღლესის საქმეებისაგან და ამიტომ ეს უბრალო კითხვა და თხოვნა, რომელიც მხოლოდ დაბალ მუშა სალხის მდგომარეობას შეეხებოდა, უყურადღებოდ იქით მიაგდეს. მაინც ოვენის შესახებ ამ კონგრესზე რამდენიმე ბირს ქება დიდებით მოუხსენებიათ ოვენი. ბრუსიის კორროლმა თავის მადლობის სახსოვრად ოვენს გამოუგზავნა მედალი. სწორეთ ამ დროს გამოსცა ოვენმა თავის ბირველი თხზულება, რომელიც მან გაუგზავნა მრავალს ლორდებს, ბრელატებს, ბალატის წევრებს, უნივერსიტეტებს და ზო-

გიერთ სხვა პირებს. ერთმა მინისტრმა არწმუნა ოვენს, რომ შენი წესდება და მოსაზრება მართველობისთვის უნაყოფოდ არ დარჩებაო და მართველობა ეცდება, რომ როცა-კი ის შეიძლებს და მოასწრებს მაშინათვე მუშა ხელოსან სალხის მდგომარეობას დროით და საფუძვლიანად შესცვლისო. ოვენი მართველობას სამაგალითო საქმედ თავისაგან დაარსებულს მაგალითებს და საქმეებს უჩვენებდა, რომ აი, ამ სასით და ასე შეიძლება, რომ თქვენ შესცვალოთ მუშა ხელოსან სალხის ცხოვრების წეს-წყობილების საქმეო, ოვენის ასეთ დაუღალავი მოქმედების შესახებ ბევრნი იმ ჭაზრების იყვნეს, რომ ეს პირი მხოლოდ თავის თავის სასარგებლოდ ჩადის ამასაო. ეს პირი მთელს ევროპის მოწინავე პირების წინაშე საკმარისად დამსახურებულიაო. ეს ამათ დიდ ძალ ფულს გამოართმევს და ბოლოს ამას თვით დაისაკუთრებს და მოიხმარებსო, ბევრი მისი მტრები ამბობდნენ, რომ ეს საკვირველი წინა მასწარა კაცი რაებს არ ჭკიდებს ხელსო. ამას სურს, რომ მთელი ევროპის ერის ცხოვრება შესცვალოსო. რაში სწარმოებს ეს ამის დახმარება, ეს გულ ასსნით ვრაფინ იცის და მგონი, რომ უფრო ოვის დიდების სასარგებლოთაო. ამ პირებს ერთობ სძულდათ ოვენი, რომ ეს ელტვის ისეთ რაღაცაებსა, რითაც, ვითომც მას უნდა რომ ზარმაცებისა და ავაზაკების ცხოვრება გაუმჯობესოსო. ამ აჭზრების გამო ოვენს მკაცრი წინააღმდეგობა გაუწიეს და იმ მკაცრის წინააღმდეგობით ოვენის წინ ისე იმოქმედეს, რომ მათ ამას ერთობ დიდათაც ავნეს და ზარალეს. ამ ზარალის შემდეგ მან თავის ქარხანას განშორდა და ეძებდა უფრო ისეთ წრეს, სადაც მას უფრო ფართოდ შესძლებოდა, რომ ემუშავნა თავის ჭაზრების დასაცველად. ეს ამ დროს პარლამენტში უკვე ცნობილ პირად იყო მიღებული და ამიტომ პარლამენტის კრებაზე თავის მოხსენება წარადგინა, სადაც ეს ლაპარაკობდა, რომ პატარა ყმაწვილებს ქარხნებში დღეში ათ საათზე მეტს ნუ ამუშავებენო. ოვენის თხოვნა პარლა-

მენტმა შეიწყნარა და კანონად გამოაცხადეს, რომ არც ერთ მექარხნეს არ შეუძლიან, რომ 10 წლისაზე ნაკლები ბავშვი შეგირდათ აიყვანოს და გარდა ამისა, ეს დღეში ათ საათზე მეტიც ამუშაოს. რაკი ოვენმა ამ თავის პირველ ჭაზრს მიაღწია, ამის შემდეგ მან შეიტანა მოხსენება მუშა სალხის პატარა შვილების ზნეობითი და გონებითი აღზრდის და განვითარების შესახებაც. ოვენის ასეთ წინადადებამ საკმარისად ცუდად იმოქმედა ანგლიის უმაღლეს სამღვდელოებაზე, ეს მით უფრო, რადგანაც უმაღლესი სამღვდელოება ოვენში რაღაც ისეთს რამეს მზერდა, რაც საღმრთო კანონებს თითქოს ზურგს უქცევდა. ესენი აბრალებდნენ, რომ ოვენს თვის მოქმედებით და მოღვაწეობით დაბალი სალხის გაუნამუსოება უნდა, სარწმუნოებით დაცემა და გაერეტიკებაო. ოვენის დაწყობილი საქმეები სასტიკად ეწინააღმდეგებიან სინიდისსა, ნამუსსა და სარწმუნოების კითხვებსაო. ამაზე სამღვდელოებას ოვენი წინ აღუდგა და ამან საუკეთურებით დაუმტკიცა მათ ის, რომ სინიდისისა და სარწმუნოების წინააღმდეგი ის არისო, რომ მილიონი ღატაკი სალხი გარეკვნილებაშია ჩავარდნილი, გაჭირებაში, ისინი ამითი სწორად იყლიტებიან კიდეცაო, მაგრამ მათ თქვენ თქვენის ზნეობით და სკოლის მოძღვრებითაკი არ შველით და არ ისსნით ამ გაჭირებიდამაო. საქმე ისე სასტიკად წაიყვანეს აქ უმაღლეს სასულიერო პირებმა, რომ ოვენს მეტი გზა არ ჭქონდა, თავის წინადადებაზე და ჭაზრებზე სელი უნდა აეღო. აი მის შემდეგ ოვენი მიეკედლა ერთ ძლიერს რადიკალურს პარტიას, რომელიც მას უფრო თანა უგრძნობდა, მაგრამ ოვენს თავის გულ-მართლის მიდრეკილების გამო ამ რადიკალებთანაც საკმარისი უთანხმოება მოუსდა, რის გამო ამან აქაც დაჭკარგა თავისი სდობა. რადგანაც ოვენის მოაზრებას უეურადღებოდ სტოვებდნენ და ამის წინააღმდეგიც ილაწოდნენ ბევრნი, ამიტომ ოვენის ქადაგებამ უკან დაწევა იწყო. ამის გამო ამან განიძრახა ისე, რომ თავის ქადაგება საქმით და

მაგალითებით უნდა დაემტკიცებინა, ამიტომ მან გამართა ხელის მოწერა, თვით მოაწერა 500 სტრელინგი. ასეთ ხელის მოწერით კარგა თული შეკრიბა და შემდეგ შოტლანდიაში იყიდა ადგილი და დაარსა ახალი ცხოვრების წესებით სავსე სოფლის სასელოსნო საწარმოებელი. აქ საქმის დაწყების შემდეგ ოვენმა არ დასჯერდა მარტო ინგლისსა და შოტლანდიაში მოძღვრებასა და ამიტომ იგი განემგზავრა ირლანდიაში, რომ ახლა იქ ჩარეულიყო შიმშილისაგან დახსებულს, სიცივისაგან გაყინულ და დამონებულ მშიერ მუშა ხალხში და იქაც შეეტანა თავისი სწავლა და მოძღვრება; იქაურს ქალაქ დუბლინში სამჯერ ზედი ზედ მოახდინა ოვენმა კრებები, სადაც მრავალი გამოჩენილი პირებიც იღებდნენ მონაწილეობას, აქაც შეიძლო ოვენმა და დაარსა ერთი კაცთა მოყვარე საზოგადოება. აქაც ჩინებული საჩსოვარი დასტოვა ოვენმა. ოვენს უნდოდა, რომ თავის სწავლისათვის არამც თუ ინგლისში, შოტლანდიაში და ირლანდიაში მიეცა მსვლელობა, არამედ მას უნდოდა, რომ ეს სწავლა-მოძღვრება მთელს დედამიწაზე მოეფინა, ამიტომ მან დაიწყო ამერიკაში გამგზავრების ფიქრები და იქაც დაფუძნება რამის. ბოლოს, როგორც იქმნა, ელირსა ამის ასრულება და 1824 წ. იგი განემგზავრა ამერიკაში.

ამერიკაში მივიდა ოვენი. აქ მან მალე იპოვნა თავის შესაფერი ადგილი, შეერთებული შტატის ერთ მსარეს. მდინარე ვებაშის მახლობლივ მდებარებდა ერთი სოფელი, რომელიც დაფუძნებული იყო 1803 წ. სარწმუნოების მათაყვანებელი მამებისაგან, წმიდა განდეგილურის მიმართვით. აქ სოფლის მახლობლივ ოვენმა იყიდა იმდენი ადგილი, სადაც შეიძლებოდა, რომ 2000 კაცი დაბინავებულიყო. მიწის ყიდვის შემდეგ ოვენი გაემგზავრა ამერიკის გამოჩენილს პრეზიდენტ ვაშინგტონთან, ვაშინგტონი ნახა ოვენმა და თავის მოსაზრების შესახებ მას უჩვენა. ვაშინგტონისაგან მან ნებართვა მიიღო იმის, რომ თავის ჭკვიანი იქაურს უმაღლესის მთავრობისათვის წარედგინა. ოვენმა

მალე წარუდგინა კონგრესს თავისი მოსაზრება, რომელიც დიდის ყურადღებით წაიკითხეს და განიხილეს. აქ ამის წინააღმდეგ ისე მკაცრად არავინ იღვწოდა, როგორც ინგლიაში; აქ ოვენის მოსაზრებას სულ არათერი დაბრკოლება დახვდა წინ, როგორც სხვაგან. ამის შემდეგ მან ერთობ მალეც დაარსა თავის დაწყობილი საქმე. ამ ახალს დასახლებულს ხალხში, ვინ იცის, რამდენ ნაირი ჭაზრის და მიმართულების ხალხი არ ერია, სარწმუნოებისა და სხვა და სხვა გვარტომობისა, მაგრამ ოვენმა თავის გეთილშობილურის კაცთ მოყვარულის მიმართვით აქ ასე დააყენა საქმე, რომ აქ ჩვენსავებ სომეხ ქართველებივით ერთმანერთს კი არ არჩევდნენ, არამედ ყველანი ძმურად იმყოფებოდნენ და ყველა მათგანს თავში ის გამოეხატათ, რომ სუყველა ისინი იყვნენ ღარიბები. უნდა ითქვას, რომ ამ ხალხის ასე გაწურთვნის გამო ოვენი სწორედ რეფორმატორად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ამ გასაწურთნს მუშებში, ვინიცის, რამდენ ნაირი ჭაზრის კაცი არ ერია, სარწმუნოებისთვის გახელებულნი ფანატიკები და სხვები. ამათ თუ არ სასტიკის სასიათის და გაუტეხავის თვისების სხვა ვინ რას დაავიწყებდა, რადგანაც ამათ თავიანთ სამაგლობა მამა-პაპათგანვე რბილში და ძვალში ჭქონდათ გამჯდარი. მაგრამ ოვენი აქ ცოტა ოდნად შეცთომაშიაც შთავარდა, რადგანაც ამ ახალ ედემის ცხოვრებისთვის ეს ეხმობდა ხალხს და ამის მიხმობის თანხმად მასთან ერთობ ბევრნიც მიდიოდნენ, რომელთა უმეტესი ნაწილიც თურმე იმ ჭაზრით მიდიოდა, რომ ოვენისაგან ურიგოდ ესარგებლნათ, და ვრცა საზოგადო დაწესებისთვის რამე ზრდილობიანი დახმარება აღმოეჩინათ, ასეთ პირებს თურმე ჭაზრად ეძლეოდათ ის, რომ ოვენთან ჩვენ უშრომლად უნდა ვიცხოვროთო. ამიტომაც აქ ოვენის დაწყობილს საქმეს ისეთი ბრწყინვალე მიმართულება არ მიეცა, როგორც მის სამშობლოში დაფუძნებულს ახალს საქმეს. ოვენის დაწყებულის საქმის აღსრულებას აქ დაბრკოლება მიტომ

მიეცა, რადგანაც მუშების უმეტესის გაგლახვებულის ნაწილი ერთობ გათუჭებული და წამხდარი იყო, ამიტომ ეს პირები ოვენს სხვა ნაირის თვალით უცქერდნენ, რაის საშვალებით ოვენს სხვა და სხვა აღსასრულებელს დავალებებსაც სთხოვდნენ და ოვენიც ყველა ამის აღსრულებას ჭირდებოდა. აქ ამ დროს ოვენს რომ პატარა მკაცრი შორს გამსჭვრეტელობა აღმოეჩინა და გათუჭებულ და გარეგნილ მუშა მათხოვრებისთვის პირი არ ეჩვენებინა და გაეუადრებინა თავი, მაშინ შეიძლებოდა, რომ მას თავის განძრახულებამდის მიელწია, მაგრამ ეს აქ მან ვერ აღმოიჩინა და მიტომ საქმეც მჩატედ წაუვიდა, თუმცა მცირე ხნის განმავლობაში მან საკვირველად იღვაწა აქ. აქ მან მაინც შესანიშნავად წასწია წინ მუშა ხალხის შვილების აღზრდისა და განვითარების საქმე.

შუა სოფელში მან დაარსა სამეურნეო სასწავლებელი, საკელოსნო, მეხანიკური და სხვანი. აქ ყოველს უწვრთვნელს და გონება გაუხსნელს ბიჭს ჩინებულად სსნიდნენ გონებითი განვითარებაში. ამას გარდა ამ სალხის ქალებისთვისაც ბევრნაირი საკეთო მხარეები შეიტანა, ყველა ამათ ღონისძიება მიეცათ სუფთად ბაცმა-დასურვის, საქმის გათავების შემდეგ ამათ მრავალთაგანი დროს შექცევისა და სიამოვნებას ეძლეოდნენ; კაცებშიაც შემოიღო ერთნაირი ტანთ საცმელი, ყველა ამათ ჭონდათ სუფთა ოთახები, მშრალი, მებელით მორთული და მოწყობილები და ზოგიერთებს ბორტოპიანიც-კი ედგათ, რადგანაც ამის დაკვრა მათში ბევრმა იცოდა და უნდა შევნიშნით, რომ ფორტოპიანები იქ საგმარისად ისე იათვა, რომ ბევრს მუშებსაც კი აქვსთ საალშია. საჭმელ-სასმელიც საერთოდ ჭონდათ ამათ. ამ დაარსებული საქმის ბედი კარგად წავიდოდა, რომ ოვენს იმის თვიქრი არ ჭონიყო, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი სალოსანი მუშები უეჭველია გვერდზე წამოწოლილები ცუდად ყოფას არ ისურვებენ და მუქით ყოფნას და ცხოვრებას არ ირჩევენო. მაგ-

რამ მართლაც-და ეს ასე არ გამოვიდა და ოვენი თავის ჭაზრო-ნებაში მოტყუებული დარჩა, რადგანაც ველურად გაზრდილს კაცს ჭატიოსანი ბირი მალე ვერ გაწურთნის და მალე ვერ გა-დაჩვევს თავის უხეირო თვისებიდამ. ოვენი ეოველ ამათ საძაგ-ლობას თავის მიზეზებს უძებნიდა და მით ამართლებდა. მას ეგონა, რომ ესენი თავიანთის ახალს ცხოვრების მაგალითებით იმედია, რომ თვითაც შეიცვლებიანო, როგორც ცხოვრებით, ისევე სასიათებით და სხვებითო: მაგრამ ეს ასე არ იქმნა და ამის გამო მას ერთობ დიდი ბრძოლა და შრომა მოუნდა. ამ საწყალს თითქმის მთელის იმ მხრის ერის ცხოვრების საძაგელ წესებთან უხდებოდა ბრძოლა და კამათობა, რაის მეცადინეობით და ბრძოლითაც ოვენს იმედი ჭქონდა, რომ ის სულ ახალ ცხო-ვრების წესებს აღორძინებდა მთელს ერში. უკანასკნელს ხანებში კი ოვენი ნათლად დარწმუნდა ამაზე, რომ მისგან დათუმნებულს საქმეებში ზარალის მეტი სხვა არა ხდებოდა რა, რადგანაც აქ თავი შეეყარათ ერთობ უხეირო და ზარმაც ბირებს. ოვენი დარ-წმუნდა იმაში, რომ ეს ბირები კეთილის სასიათებით ვერ ისე კარგად ვერ არიან გაწურთვნილი და ამიტომ მან განიძრახა კიდევ თავისი ჭაზრების ქადაგება და ამ სახით უნდოდა, რომ მუშებს მას საკმარისად გაეწურთნა და ამით მისწეოდა თავის დედა ჭაზრებს. ამ დროს დასავლეთ ამერიკაში უკვე ოცდა ათი ამხანაგობა არსებობდა, რომელთაც მიზნად ოვენის სწავლა და დედა ჭაზრები ედოთ წინ. ოვენის დედა ჭაზრები ზოგიერთ სარ-წმუნოებრივ საზოგადოებშიაც კი იქმნა მიღებული. მაგრამ ოვენს აქაც გამოუჩნდნენ მტრები. ამ მტრების დასი შესდგებოდა იმ დროის სარწმუნოების მოუკარე ფანატიკებ და კლერიკალებისაგან. ერთი ფანატიკი მოგზაურობდა მთელს ამერიკაში და ოვენის დედა ჭაზრების წინააღმდეგ სასტიკად ქადაგებდა. მაგრამ ოვენს ამ ქადაგებისა სულ არ ეშინოდა, არ ედარდებოდა და ამიტომ ამ ბირს სასტიკს კამათობასაც უწევდა. თუმცა არ მოსწონდა

ასეთი მოწინააღმდეგობა, მას ყველაზე უფრო ადარდებდა, რომ მისგან დაფუძნებული საზოგადოების საქმე ერთობ ცუდად მიდიოდა ამდენის მტერობისაგან, ამიტომ ბოლოს დროს მან სუ ყველა თავის დაწყობილს საქმეს და შეძლებას დაანება თავი, ზოგი ხალხს მისცა და უმეტესი ნაწილი-კი თავის ცოლშვილს დაუმტკიცა და თვით-კი მწუხარებით დაბრუნდა ევროპისაკენ, რომ ახლა იქ განევრცელებინა თავისი ჭაზრები ლატკათა და ტანჯულთ ცხოვრების წინ წასაწევად და სასარგებლოდ. საზოგადოდ ოვენის საქმეები თუ კერ მიდიოდა ყველგან კარგად, ამის შესახებ ზოგიერთნი ამბობენ და ოვენის ამხანაგობათა საქმის წინ წაუსვლელობის მიზეზებს იმას აწერენ, რომ ოვენმა თავის დაარსებული სოფლების არსებობას ყველგან წმინდა კომუნისტიურ სასიათს და მიმართვას აძლევდა. ოვენის დაფუძნებულს საქმეობის ასე წასვლის მიზეზებს თვით ოვენს აწერენ და მისგან უსეირო ერთობ შორს წასვლას. ვებერი ამბობს, რომ ოვენი თავის კაცთ მოყვრულის მიმართვით და მოქმედებით ბევრს კაი რამეს აკეთებდა ანგლიის მუშებში და ამათ ზნეობით და სხვა ფრიგ ხსნიდა და დიდს სიკეთეს სთესავდა, მაგრამ როცა მან თავის საქმის წესდებას გადაბეჭდა და ხალხის სარწმუნოებრივ მხარეებსაც შეეხო, როცა ამან ზეციერის შესახებ მოჭაზრებანი შეცდომად ჩათვალა, როცა ამან ქრისტიანულის მოძღვრებით ცოლის შერთვის საქმე იქით გადადო და მას სურდა, რომ ეს წმინდა საქმე ცოლქმართ შერჩევით მომხდარიყოსო, ამის გარდა ესვე ელტოდა იმას, რომ ქრისტიანული ძველი მოძღვრება დაემალა და მის მაგიერ ახალი სხვა მოძღვრება დაეფუძნებინა, მაშინ-კი მას თვის თანამგრძნობელნი შორს გაუდგნენ და ოვენს ცუდის თვალით შეხედეს. ცოტა არა იყოს ვებერის თანხმად, მაგრამ ცოტა განსხვავებით-კი განმარტავს ჰეგეიფერი ამის შესახებ. ეს ამბობს, რომ ეს საქმე ოვენს ლონდონის ერთს მიტინგზე მოუხდაო, სადაც მან სიტყვა სთქვა და ამ საგანსაც შეე-

ხევო, რაც გახდა მის ავტოტირეტის დაცემის მიზეზათო. ამის შესახებ ოვენი ამბობს:— » მე დიდი ავტორიტეტი მქონდა, დიდი სახელი მთელს განათლებულს სალხებში, დიდი მნიშვნელობა კაბინეთის მწერლებში და უმაღლეს მთავრობაში, ამის გამო მე განძრახ ვქენი ეს და იმ განძრახვით წავედი მიტინგზე და მიტომ მოვახდინე ეს, რომ მის საშვალებით ყველა ეს დამეკარგაო». ეს ამისთვის სულ არ დარდობდა.

ევროპაში ოვენი უფრო იმ იმედით და სიხარულით წავიდა, რადგანაც ამას აქედამ გაზეთებში დიდს თანაგრძნობას უცხადებდნენ. ევროპაში დაბრუნებული ოვენი მივიდა ლონდონში. აქ ამანნახა, რომ მისგან დაარსებული კოპერატიული ამხანაგობათა საზოგადოება ერთობ მხნედ და ჩინებულად მიდიოდა წინ, რაის საშვალებით ოვენის ბაზრებიც სდგებოდნენ მთელს ამ ერის საესლმწიფოს დიდრონ ქალაქებში. ეს ოვენს ერთობ გაუხარდა. ყველგან ჩნდებოდნენ ისეთი პირებიც, რომლებიც მკაცრად იცავდნენ ოვენის დედა ბაზრებს და მათ უნდოდათ, რომ ეს აეღორძინებინათ კიდეც. ლონდონში ოვენმა ნახა მიტინგი, სადაც ირიცხებოდა 2000 კაცი, რომელნიც თანაუგრძნობდნენ ოვენის მოძღვრების თანხმად შეერთებულ ამხანაგურს საზოგადოების დაფუძნებას. ამავე დროს ლონდონში დაარსდა ყურნალი «კოპერატიული მაღაზია», სადაც სწერდნენ ისეთ საქმეების შესახებ აღძრულს კითხვებს. ამის მეოხებით აქ არსებობდნენ ბევრი ისეთი წვრილ წვრილი ამხანაგობანი, რომელნიც დაუღალავად მოღვაწეობდნენ, რომ ოვენის დედა ბაზრები ბევრს ადგილს სიცრულეში მოეყვანათ და ბევრს ადგილს მისის (ოვენის) მოძღვრების ბაზად ახალი ცხოვრების წესები დაემყარებინათ. ამათ ეს მოახერხეს კიდეც და ერთს ადგილს ერთისპირისგან იყიდეს ადგილი, სადაც მათ დაარსეს ახალი საზოგადოებაც, რომლის მართველობაც დანიშნეს ოვენის სწავლის ერთა გამოჩენილი პირთაგანი ამ პირმა აქ ცოტა არ იოსა ოვენის მიმართულს და პროგრამას

გზა აუქცია. ამან აქაურს შეძლებულს პირებს და მამულის პატრონებს ნება მისცა, რომ ისინი ერთსა და იმავე დროს მათი საზოგადოების ამხანაგნიც ეთვალიყვნენ და სხვა და სხვა საქმის მეიჯარადრენიცა. ამით ოვენის მოადგილეს სურდა ის, რომ შეძლებულ პირებს ჩვენს ამხანაგობაში ჩავიტუეილებთო, მაგრამ აქ ამით ვერა მოხერხდა-რა და საქმე უკეთ ვერ წავიდა, რადგანაც აქაც კიდევ ზარმაც და უხეირო მუშების რიცხვმა მოიყარა თავი. აქ ამათ დახვდათ მზა-მზარეული სასლი და სხვა ყველაფერი, რაის გამო ესენი ამ სასასლის და მშვენიერი ბაღის და სხვების დიდი მადლობელნი იყვნენ და გამკეთებელსაც მადლობით იხსენიებდნენ, მაგრამ ზარმაცობით-კი მუშაობდნენ და თავს არ იწუხებდნენ. ესენი ამბობდნენ, რომ აქაც დაუსვენებლივ რომ კიმუშაოთ, მაშინ ამას ჩვენთვის რაღა მნიშვნელობა ექმნებაო, დაუსვენებლივ რომ კიმუშაოთ, მაშინ ხომ სხვაგანაც ვიცხოვრებთო, ასეთ ხალხთან ამბავ კაცი რას იზამდა? ამათთვის ერთი რამის ჩაგონება ათსა და ოცს იმოდენს დროს თხოულობდა. რომ ცოტა არ იყოს, ამის ასე წასვლის გამო ოვენის მოძღვრების მიმდევარს საკმარისად გული გაუტყდა და იგი (კომბის) 1827 წელს გარდაიცვალა და ამის გარდაცვალების შემდეგ ამ საზოგადოების არსებობაც მოიშალა, რადგანაც ამ საზოგადოების არსებობის საქმე წმინდა კომუნისტიერის განძრახულებით იქმნა განკითხულიო, ამბობს ერთი მწერალი. სჩანს, ამ საზოგადოებისთვის «კომუნისტიერი» რომ არ ეწოდინებინათ, მაშინ-კი ისეირებდაო. მაგრამ რა კაცთ შემაბრალი და ძმური ამხანაგობა უნდა დათუმნდეს ხალხში, რომ იგი კომუნის მსგავს წესებს არ წარმოადგენდეს!

ამ ხნის განმავლობაშიც ოვენი მოგზაურობდა ინგლიაში, და თავის მოძღვრების წინწაწევის შესახებ საზოგადოდ სიტყვებს ამბობდა, წერილებს კითხულობდა, რომლების ზოგს ბეჭდავდა და მით ხალხს ამხნევებდა, აქ საკმარისად მოგზაურობის და შრომის შემდეგ ოვენი ხელმეორედ წავიდა ამერიკაში, რომ თავი-

საგან დაწყობილი საქმისთვის კარგი აღორძინება და ხასალი დასაწყისი მიეცა. მაგრამ ეს აქ ამან კელარ მოახერხა, რადგანაც აქ მან ნახა, რომ ყველაფერი ის, რაც-კი მუშა ხალხს ეკუთნოდა სულ მდიდარ ვაჭრებს ჩაეგდოთ და დაესაკუთრებინათ ხელში, ამიტომ ამას აქ თავი დაანება და განემგზავრება სხვა მხარეში, ამან მიმართა მექსიკანის სამართველოს და თავის მოსაზრების შესახებ დავალება და საქმე სთხოვა. მათში გაიმართა მიწერმოწერა. ბოლოს ოვენმა გამოაცხადა, რომ ჩემის მოძღვრების დედა ჭაზრების მეოხებით უნდა არსებობდეს სრული თავისუფლება სარწმუნოების, სინიდისისა და სხვებისო. ეს განცხადება სამღვდელოებამ შეიტყო თუ არა, სასტიკად აღუდგა მას წინ და არავრის ნება არ მისცეს, ამიტომ ოვენი აქედამ ისევ ინგლიაში დაბრუნდა 1829 წ. ერთი მისი ბიოგრაფი ამბობს, რომ ოვენმა 1726 წლიდამ 1837 წლამდის ორი ათასზე მეტი წერილი დასწერა და დაბეჭდაო, სადაც იცავდა თავის მოძღვრებასაო.

ოვენი რომ ინგლიაში მივიდა, ამ დროს იქ მაღალს და დაბალს ხალხში ბრძოლა იყო ატეხილი: დაბალი ხალხი ებრძოდა და ეძებდა იმის მოპოვებას და მიღებას, რაც მას თავად-აზნაურებისა და მდიდრებისაგან ჭქონდა წართმეული. აქ მუშა ხალხის თავისუფლების საქმე ერთობ ყელ ყელაობდა, ამიტომ ამ დროს ოვენს და მის მოღვაწეობას ერთობ ცუდად შეხედეს და გაიხსენეს ის, რასაც წინედ თიქრობდნენ ოვენზე. ამის შემდეგ-კი ოვენი უკვე გახდა დაახლოებულ მოღვაწედ და მოკავშირედ მუშა ხალხისა, ბევრს მუშების დასებში ეს იღებდა მონაწილეობას, რომელ მუშათ დასებიც თავიანთ მექარხნეების წინააღმდეგ იბრძოდნენ. ამ დროს ოვენს ასეთ მოქმედების გარდა სხვა ალარა საქმის დაწყობა შეძლო, რადგანაც მას თავის შეძლების უმეტესი ნაწილი სულ დაეხარჯა და ხელიდამ წაუვიდა იმ საქმეზე, რასაც აკეთებდა და ზოგ თავის შვილებს გარდასცა. ამის საქმედლა იყო ქადაგება და მუშების საქმეებში მონაწილეობის მიღება,

უნდა ითქვას, რომ ოოვენი ასეთ საზოგადო საქმეებში დაუცხრომლად მოღვაწეობდა. 1834 წ. ამას მოუსდა მუშა სალხში მონაწილეობის მიღება, რომელიც საკმირისად საყურადღებოა, რადგანაც ეს მუშა ხალხი ლონდონში აღელვებულიყო მმართველობის და მდიდრების წინააღმდეგ. ამ მუშა სალხის აღელვება გამოიწვია მანჩესტერის მუშების უსამართლოდ გაკიცხვამ. ასი ათასი თავიდამ სელაღებული მუშა სალხი გაემგზავრა სასახლის წინ, ყველა ხელობის ხალხს თავიანთ საამქრო დროშა მიუძღოდათ წინ. ამ დროს დიდი ალიაქოთები და ვაივაგლახები იყო. აქ ოვენმა მუშა ხალხის წინ თავი გამოიდო და ამათგან მართველობის წინ წასდგა და მოახსენა ის, რასაც მუშები თხოულობდნენ, მაგრამ ოვენის ამ გვარს წინამძღვრობას უყურადღებოდ შესედეს, მინისტრებმა ოვენში მტრობის მეტი სხვა არა დაინახეს რა, ამიტომ ოვენს არავერი პასუხი მისცეს. ოვენი დარდიანი გამოვიდა და მუშებს უთხრა: რომ მე ვერაფერს გავხდიო, ვერა გავაწყე რაო. ამით მუშა სალხი მაზე აღელდა და ამათ ოვენს თითქმის მართველობის მომხრეობა დასწამეს კინაღამ, საქმის ღალატი და თავის ნაზრებიდამ გადადგომა. აქ ოვენმა ორსავე მხრიდამ მიიღო საყვედურები. აქ ამ დროს საქმე, როგორც იყო, დააწყნარეს. ამის შემდეგ მდიდარი კაპიტალისტები და ინგლისის ბურჟუაზია ერთობ ემდუროდა ოვენს და ემტრებოდა, ესენი ამბობდნენ, რომ მუშების ყოველ ნაირი აჯანყების მიზეზი სულ ოვენი არის და სულ მისი ბრალიაო. ზოგიერთ მუშათ აჯანყების დროს, მართალია ოვენი იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ზოგიერთ მუშათ ამჯანყებელ ამხანაგებში-კი მის სახელი მის დაუკითხავად ყოფილა შიგ და ეს ოვენმა არც-კი იცოდა, მაგრამ აქაც მაინც კიდეკ ოვენს სთვლიდნენ დამნაშავედ. ერთ ამ გვარ მუშათ ამჯანყებელ ამხანაგობაში ოვენის სახელი მისდა დაუკითხავად მოაქციეს. ეს მუშათ ამხანაგობა არის შემდეგი: ლონდონის ყველა მუშები შეიკრიბნენ და

გადასწყვიტეს, რომ ჩვენის მეჭარხნეების წინააღმდეგ უნდა აკკანუდეთო. ამისთვის მათ კრებები ექონდათ და არჩევანიც ეყარეს აკკანუების წილი პარტნოვებს შეხვდათ. პარტნოვებმა დააგდეს მუშაობა და ალარ მუშაობდნენ, ამათ ამ უსაქმობის დროს კამაგირს აძლევდნენ სხვა ხელობის მუშები, რადგანაც იმათ ამ მიზნისთვის დიდი ძალი ფული შეკრიბეს. პეტერბურგის სიტყვით, ამ მუშებისთვის სხვა მხარეებიდამაც მიუცია თ ფულით დახმარება. მუშებმა არ იმუშავეს ერთ თვეს, მეორეს; ამის სამაგიეროდ მათ სხვა მუშებისაგან კამაგირიც მიიღეს, მაგრამ მაინც საქმე ისე მოხდა, რომ ბოლოს ისევ მუშები მივიდნენ თავიანთ მეჭარხნეებთან და დაუწყეს ხვეწნა და საქმის თხოვნა. ამ დროს მთელმა ამათ მდიდრებმა ოვენი დაინახეს დამნაშავედ; ყველანი ამის მიზეზებს ოვენს აწერდნენ და ამიტომ მას სასტიკათაც დასცინოდნენ და მასხარათაც იღებდნენ. მუშებმა ეს განძრახვა და დაწყობილობა ისე-კი დაიწყეს, რომ ის ოვენმა არც-კი იცოდა.

ოვენმა დაახლოვებით მოხაწილეობა მიიღო მხოლოდ მუშა ხალხის შრომის (обмѣна) გაცვლის აღორძინების შესახებ აღძრულს კითხვებში. როცა-კი მუშა ამუშავებდა, მისთვის მის საშუშაოს მაგიერ უნდა მიეცათ კვიტანცია, რომელზედაც აღნიშნული იქნებოდა მას მუშაობის რიცხვი, ეს კვიტანცია მუშა ხალხს ისე გამოადგებოდა, როგორც ფული. ამას ეს საცა უნდა მიეტანა და მოეთხოვნა რამე, მისთვის ეს მაშინათვე უნდა მიეცათ. ასე პარტნოვს რომ წალის ყიდვა სდომნიოს, მაშინ პარტნოვს მეწალესთვის უნდა მიეცა წალის ფასის შესაფერი მუშაობის კვიტანცია, ასევე საპოყნიკი მეპურეს და ასევე სხვებს. ამ კითხვებისაგან ოვენი ასეთი საქმეების აღორძინებისაგან ერთობ გატაცებული იყო და იმან მოიგონა კრედიტნი ბილეთებიცა, რომლებშიაც ანგარიში მანეთებით კი არა შესდგებოდა, არამედ მუშაობის რიცხვით. ეს საქმეები ოვენზე ცოტა შემდეგ საეკონომიკეთში იყო პრუდონისაგან წინ წაწეული და წარდგენილი. ეს

მოსაზრება ბევრს ეკონომიტს პირებისთვის არარის უმნიშვნელო, თუმცა ძალიან ბევრნი ოვენს ამისთვის სასტიკად დასცინოდნენ და მასხარად იღებდნენ. მანჩესტერის მუშებში ბევრს სასტიკ მსარეებთან ბევრი კარგი მსარეებიც ჰქონდათ დაფუძნებული, ამათ ჰქონდათ შედგენილი დამხმარებული ამხანაგობა, რომლის ფულითაც გაჭირებულებს ეხმარებოდნენ, საესხადაც აძლევდნენ და სხვა. მანჩესტერში მისული ოვენი გახდა ამ ხაზოგადოების პატრონ მწარმოებლად და ამის საშვალებით ამ ამხანაგობის საქმე უფრო კარგად წავიდა, მოძრაობამ უფრო იმატა და ფულის რიცხვიც უფრო გაბევრდა. აქ ბევრ გამოჩენილ პირებს მიუღიათ მონაწილეობა. ბოლოს ეს მუშების ამხანაგობა გარდაკეთდა ყველა ხალხის და ყველა ნაციის კავშირის ამხანაგობადა. მანჩესტერი გახდა ოვენის უმთავრეს სამოქმედო და საღვაწ ასპარეზად, სადაც იკრიბებოდნენ და ერთმანერთს უკავშირდებოდნენ ოვენის ჭაზრის ქიმდევარნი და თანა მგრძნობარნი. აქ ხშირად ხდებოდა კრება და მიტინგები ოვენისტების, და აქვე იბეჭდებოდა მათებური დროგამოშვებითი გამოცემანიც.

მუშების მდელვარება ძლიერ დიდდებოდა და ძალუანდებოდა. ინგლიის მდიდარი არისტოკრატიის ნაწილი და ბურჟუაზისა ყველა ასეთ რამეების დასაწყისს მაგალითებს ოვენის საქმეებშიაც ხედავდნენ. მაგრამ ეს პირები მაინც ეურს არ იბერტყავდნენ და ხალხის უბედურებამ იქამდის მიაღწია, რომ 1832 წ. საშინელი სენი გაჩნდა, რომელიც სასტიკად მუსრავდა დაბალ ქშიერ მუშა ხალხს, მაგრამ ამ გაწყვეტილს გარდა მაინც კიდევ ერთობ ბევრი შთებოდა ულუკმა პურად. ეს პირნი ისე გაგლახავდნენ და ისე გაქეცანდნენ, რომ მასზე მეტი აღარ შეიძლებოდა, ამიტომ მართველობამ ყურადღება მიაპყრო და ამ პირთა დასახმარად კანონიც დაადგინა, რომელ კანონის ძალით წელიწადში შვიდი მილიონიც დანიშნეს ღარიბების სასარგებლოდ, ამ ფულს ურიგებდნენ ღარიბებს, მაგრამ დარიგება კანონიერად არა ხდებოდა

და სშირად ღარიბთ სცვლად შემლებულნი პირნი სარგებლობდნენ და იღებდნენ ფულს. ამით მართებლობამ მცირედ შეამცირა მათხოვრების და მშიერ მუშების რიცხვი და შემდეგ წელში შვიდ მილიონის მაგიერ მხოლოდ ოთხი მილიონი გამოსცა. ამ ფულებით გააკეთეს მუშებისთვის თავშესაფარი სახლი და კისაც პური და საქმე არ ჰქონდა, მას შეეძლო აქ მოსულიყო, ემუშავნა და შემდეგ პურიც ეჭამნა. ასეთი მსარეების აღორძინებით მოინდომა თავის ღარიბ ღატაკთ ვინაობის შეტყობა. მართველობის ასეთ საქმეს ზოგი მეისტორები ჩინებულის თვალით უცქერიან, რადგანაც ასეთის ოსტატობით მართველობამ საგმარისად შეამცირა ღარიბების რიცხვიო. მაგრამ უნდა ითქვასო, მეორეები იმბობენ, რომ მაგდენიც არათვერიო. მართველობას რომ ღარიბთ დასმარება სდომნიყო, მაშინ იგინი ოვენის გზას დაადგებოდნენო. ამ მართველობის სამუშაოში ქალებიც დადიოდნენ თურმე. ამავე დროს ინგლიის სამართველომ მცირე წლოვან ბავშვების სასარგებლოდ კანონიც დაადგინა, მაგრამ ვერც ამით და ვერც იმით, რომ რამდენიმე მილიონი დანიშნეს ღარიბების სასარგებლოდ, მაინც ვერათვერი გააწყეს. რაკი ოვენის გზას ასცდნენ, მიტომ მათი შრომაც ალაოდ დარჩაო. ამ უსარგებლობამ იქამდის მიაღწია, რომ 1838 წლების შემდეგიდამ მუშა სალხმა შეკვე ხმა მაღლივ დაიწყო თხოვნა, რომ პურის იჯარა მოესპოთ. მუშებს მოემხრნენ ზოგიერთნი წევრნი იმ დროის რადიკალების და ლიბერალების დასების და სამართველოს პურის იჯარაც მოასპობინეს. ცხადი საქმეა, რომ ოვენს ყველა ამ საქმეებში არა მცირედი მნიშვნელობა ექმნებოდა, თუმცა მისი სახელი მხოლოდ 1839 წ. სჩანს ინგლიის მუშების მღელვარებაში.

1838 წ. ოვენი განემგზავრა საფრანგეთში. აქ ამან თავის დედა ჭაზრები გააცნო მრავალთ და ამით მან დიდი არათვერი გააწყო, მაგრამ ამით მან ის მაინც მოიგო, რომ ამის შემდეგ

საფრანგეთში მისი ნაწერების კითხვაც დაიწყეს და გაცხოველა. ესეც ერთი ღირსება იქმნებოდა ოვენისათვის. საფრანგეთში ოვენი სულ მცირე ხანს დარჩა—მეორე წელიწადს ეს დაბრუნდა ისევ ინგლიაში, აქ მან ნახა, რომ ზოგიერთ პირებს ოვენის დედა ჭაზრების თანხმად უკვე ორს ალაგას გაემართათ ახალი საზოგადოებანი, რომლებისთვისაც საკმარისად ბევრი ფულიც შეეგროვებინათ, მაგრამ არ იქმნა და უოვენოდ ვერც ეს წავიდა წინ და 1845 წლებში ესენიც უკვე დაიშალა. ამ შემთხვევამ ოვენი ერთობ დაამაბუნა და მიტომ ამის შემდეგ იგი ერთავად სულ იმის ქადაგებას მისდევდა, თუ როგორ უნდა მოეხერხებინათ. 1847 წ. ოვენზე კიდევ აიტუდა ლაპარაკი, რადგანაც იმ დროის დედოფალმა ისურვა ოვენის ნახვა და მასთან საკუთრივ ლაპარაკი, შესახებ მის მოძღვრებისა. ამ ამბავმა ერთობ აალაპარაკა იმ დროის სამინისტრო და უმაღლესი სამღვდელოება. სამღვდელოება ერთობ აღელდა ოვენის გამო და ამათ დედოფლის წინაშე თავიანთ წარმომადგენლად ერთი ეპისკოპოსიც წარადგინეს, რომელიც წარდგა დედოფლის წინ და ჭკიცხავდა ოვენს, როგორც უაზრო და უხეირო პირს და აგრეთვე სამინისტროს. სამღვდელოების ასეთ მოწინააღმდეგობას ოვენი მკაცრად წინ აღუდგა და ამან გამოსცა ერთი თავისი წიგნაკი, რომელსაც სამღვდელოების ჯავრის მოსაუკანად და გულის გასასეთქად უწოდა: «მანიფესტი რობერტ ოვენისა, რომელმაც მოიგონა და დაუფუძნა ახალი და კარგი სწავლა შესახებ ახალის საზოგადოების და სარწმუნოებისა». ამავე წელიწადს, სწორედ ამ სათაურითვე გამოსცა კოსმოპოლიტურის კომუნიზმის მოძღვრების მიმდევარმა და პოლიტიკურის ეკონომიურის მწერლობის ძლიერ კრიტიკოსმა კარლ მარქსმა თავის «მანიფესტი» შესახებ კომუნისტიურის შეერთებულის მუშების საზოგადოებისა. 1847 წ. თუმცა ოვენი ამ დროს საკმარისად მოხუცი იყო, მაგრა მას ორს დროს არ

უმტკუნია თავის დედა ჭაზრებისთვის. თუმცა ეს მოხუცებაშიაც შთავარდა, მაგრამ 1845 წ. კიდევ გახემგზავრა ამერიკაში, რომ იქ დაეწყო თავის მოძღვრების ქადაგება აშკარად. აქედამ ეს მაღე დაბრუნდა ინგლიაში და 1846 წლიდამ მან დაიწყო თავის ქადაგება ინგლიაში. ამ პირმა თავის სიკვდილის დღემდის მტკიცედ შეინახა და დაიცვა ის ჭაზრები და მიმართულებანი, რაც მას ერთხელ ამოურჩევია, არც ერთხელ მას ამისთვის არ უღალატნია და სხვებივით დღეს თავისაგან ნაქები რამე ხვალ ტალახით არ უსვრია. 1848 წ. საფრანგეთის რევოლიუციის შემდეგ ეს მეორედ განემგზავრა საფრანგეთში. იქ მთავრობას სთხოვდა, რომ ამის წესებით აქაც დაარსებინათ კოლონიები. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და იგი დაბრუნდა ისევ ინგლიაში.

ამ ხნიდამ ოვენი ინგლიაში დარჩა და თავის სიკვდილის დღემდის იგი აღარსად წასულა, იგი გარდაიცვალა 1858 წ. ღრმად მოხუცი. რომელიც საკმარისის პატივით დასასთულავეს და მის გვამსა და სასულს არამც-თუ მარტოდ მის ჭაზრების თაყვანის მცემლებმა სცეს მას პატივი, არამედ იმათაც-კი, ვინც-კი ოვენს სასტიკს მტერობას, კამათობას და მოწინააღმდეგობას უწევდნენ, თვით ესენიც-კი მივიდნენ და თვით ამათაც-კი სცეს პატივი. ამასვე საკმარისს პატივს სცემდნენ იმ დროის სუფევლა გამოჩენილი პოლიტიკურ ეკონომიურის სწავლის მიმდევარი პირები, კარლ მარკსი, პრუდონი, ლუი-ბლანი, ლასალი, ენგლესი, ლანგე, ლიბსკენტი, მიშლე და მრავალნიც სხვანი.

ამიტომ ოვენის მოძღვრებას და განძრახულებას, რაც უნდა ნაკლულევანება ექონდეს, იგი პატივსაცემი და ღირსია იმით, რომ ამ კეთილ და პატიოსან პირთაგანმა მთელი თავისი შრომა და საცხოვრებლის უმეტესი ნაწილიც ღარიბების საქმეს შესწირა, ამ პირს შეეძლო, რომ საკმარისად თვალთ საჩინო კაცი გამხდარიყო, დიდი შეძლების პატრონი, დიდი ძალისა,—მაგრამ

305
4551

არა, ეს მან არ იხდომა და ყველა ესენი ანაცვალა იმ ჭაზრებს, რაც მას ახალგაზდობიდამვე ამოერჩია, რასაც იგი პატივს სცემდა და ემსახურებოდა თავის სიკვდილის დღემდის, ამიტომ პატივი და დიდება ოვენს და მისს კაცურს მოღვაწეობას.

ზ. ჯ.

1888 წ.

305
Ჯ 551

ᲗᲕᲐᲡᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.